



ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამის მენეჯმენტის
ეპიდემიოლოგიური შეფასება

ავტორი: თინა ბერუჩაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

საქართველოს უნივერსიტეტის

ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვასილ ტყეშელაშვილი

თბილისი

2015

საავტორო უფლებები

სადოქტორო დისერტაცია თემაზე: *ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამის მენეჯმენტის ეპიდემიოლოგიური შეფასება*

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი- თინა ბერუჩაშვილი

თინა ბერუჩაშვილი © თბილისი, 2015 წლის 20 ივლისი

ანოტაცია

გაანალიზებული იქნა ქ.თბილისში 1998-2010 წლებში რეგისტრირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს 3773 შემთხვევა და 2003-2007 წლებში ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობაში კიბოს მიზეზით გარდაცვალების 5440 შემთხვევა.

ქ.თბილისში 1998-2010 წლებში ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდება ASR-ს მიხედვით -37,0 ქალი, ხოლო AAR-ს მიხედვით - 46,5 ქალი. თბილისელ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კუმულაციური რისკის მაჩვენებელმა (CR₀₋₇₄) შეადგინა 3,9%. 2008-2010 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა SRR-ს მიხედვით გაიზარდა 1,5-ჯერ, ხოლო SIR-ს მიხედვით-53,9%-ით. TAsR-ს მიხედვით აღინიშნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის მატების დინამიკა. ამავე დროს, დადგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის იდენტური დონეები 25-59 და 25-64, ასევე- 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე 25-59 და 25-64 წლებთან შედარებით მატულობს ასაკობრივ პერიოდებში 30-64 და 30-69 წლები. SRR-ს მიხედვით, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,2-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში, მაშინ როდესაც 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში რეგისტრირდება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის იდენტური სიხშირეები. პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი იყო 2,4-ჯერ მაღალი, მაშინ როდესაც ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი წელი- 3,9-ჯერ მაღალი; ხოლო- შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევების 71,0% დიაგნოსტირებული იქნა ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი, ხოლო 79,8%- ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი. ანუ, ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შეფარდებითი სიხშირე.

2003-2007 წლებში დედაქალაქის ყოველ 100,000 ქალ მოსახლეზე ამ მიზეზით ყოველწლიურად გარდაიცვლება ASR-ს მიხედვით- 3,6, ხოლო AAR-ს მიხედვით- 4,7. კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ეკავა რანგით VI ადგილი და მისი ხვედრითი წონა შეადგენდა 2,9%-ს. თბილისელ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციური რისკის მაჩვენებელმა (CR₀₋₇₄) შეადგინა 0,4%. TAsR-ს მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს

მიზეზით 25-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 5,3 ხოლო 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში -6,8 ქალი.

სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობამ შეადინა 9,8%0, ხოლო კიბოს პრევალენტობამ -6,1%0. Pap ტესტით შემთხვევათა 0,2%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 4,7%-ში ჰიპერდიაგნოსტიკას. კოლპოსკოპიით შემთხვევათა 0,8%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, 2,7%-ში ჰიპერდიაგნოსტიკას. Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის მგრძობელობამ შეადგინა 96.3%, სპეციფიურობამ - 98.5%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -92.9%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -83.3%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა- 98.1%. ჩატარებულმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანითა და 25-59 წლის ასაკობრივი პერიოდის ნაცვლად სკრინინგის 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება, ერთის მხრივ გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობას (30-64 ასაკობრივი პერიოდის ქალებში, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით, SRR-ის მიხედვით 1,2-ჯერ, პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1,6-ჯერ, ხოლო შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე; სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობის პიკური დონე (10,5%0) აღინიშნა 60-64 წლის ასაკის ქალებში), ხოლო მეორეს მხრივ- შეამცირებს გასაწევ ხარჯებს: მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევაში ~ 137,000 ლარით, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- ~ 192,000 ლარით. ანუ, სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანა და მისი 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება მნიშვნელოვნად გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ხარჯთ-ეფექტიანობას.

მადლიერების გამოხატვა

მინდა გამოვხატო მადლიერება ჩემი მშობლების მიმართ, რომლებმაც გვასწავლეს სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა. განსაკუთრებული მადლიერება ჩემს დას, რომელიც ბავშვობიდან იყო ჩემთვის საუკეთესო მეგობარი და მაგალითი. ასევე დიდი მადლობა ჩემს შვილებს : ნინოს და გიორგის და მეუღლეს მხარდაჭერისათვის.

სარჩევი

შესავალი	16
თემის აქტუალობა	16
კვლევის მიზანი, კვლევის ობიექტი და დასახული ამოცანები	18
კვლევის მეცნიერული სიახლე, დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები, მიღებული შედეგების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება	21
ნაშრომისაპრობაცია.	22
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	23
1.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთი	23
1.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის ფაქტორები	28
1.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია	32
1.4. რეზიუმე: საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთი და მისი პრევენციის მენეჯმენტი.	40
თავი II. კვლევის მასალები და მეთოდები	48
2.1. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და სიკვდილიანობის კვლევის მასალები და მეთოდები	48
2.2. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის კვლევის მასალები და მეთოდები	56
თავი III. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა და სიკვდილიანობა	60
3.1. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ტვირთი.	60
3.2. 2003-2007 წლებში თბილისის ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურა: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ანალიზი	83
3.3. რეზიუმე: ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა და სიკვდილიანობა.	122
თავი IV. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის შეფასება.	128
4.1. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის შედეგები სკრინინგის ეროვნული ცენტრის 2013 წლის მონაცემებით	128
4.2. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ტესტების ეფექტიანობის შეფასება	134
4.3. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ეკონომიკური შეფასება	140
4.4. რეზიუმე: ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის შეფასება	144
თავი V. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამის მენეჯმენტის ეპიდემიოლოგიური შეფასება (რეზიუმე).	149
კვლევით მიღებული ძირითადი შედეგები.	164
დასკვნები	172
პრაქტიკული რეკომენდაციები	174
გამოყენებული ლიტერატურა	175
დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია	186
დანართი: CD	187

ნაშრომში მოყვანილი გრაფიკული ნახატების ჩამონათვალი

ნახატი 1. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა უხეში მაჩვენებლებით 100,000 ქალზე	61
ნახატი 2. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ასაკისათვის სპეციფიკური მაჩვენებლები 100,000 ქალზე.	62
ნახატი 3. 2008-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ასაკისათვის სპეციფიკური მაჩვენებლები 100,000 ქალზე	62
ნახატი 4. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ასაკისათვის სპეციფიკური მაჩვენებლების დინამიკა 100,000 ქალზე 1998-2010 წლებში	63
ნახატი 5. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (ASR) მიხედვით	69
ნახატი 6. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა 10-10 წლიანი ინტერვალებით წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (ASR) მიხედვით	69
ნახატი 7. 1998-2010 წწ. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით (თბილისის სტანდარტი, 2002) ყოველ 100 000 ქალზე	73
ნახატი 8. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR ₂₅₋₆₄) მიხედვით	76
ნახატი 9. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკის შედარება დიფერენცირებული შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) მიხედვით	77
ნახატი 10. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის პროპორციული სიხშირე ასაკობრივი პერიოდების მიხედვით	79
ნახატი 11. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შეფარდებითი სიხშირე ასაკობრივი პერიოდების მიხედვით	79
ნახატი 12. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში ქალის რეპროდუქციული სისტემის ორგანოების კიბოს მიზეზით გარდაცვალების ასაკობრივი თავისებურებები ასაკისათვის სპეციფიკური სიხშირის მაჩვენებლებით 100,000 ქალზე	86
ნახატი 13. 2003-2007 წლებში თბილისში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურა (10 ძირითადი ლოკალიზაცია): წლოვანების მიხედვით სტანტარტიზებული მაჩვენებლები 100 000 ქალზე	108
ნახატი 14. 2003-2007 წლებში თბილისში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურა წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (ASR) მიხედვით 100,000 ქალზე	109
ნახატი 15. 2003-2007 წლებში თბილისში ქალთა მოსახლეობის რეპროდუქციული სისტემის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურა წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით 100,000 ქალზე	110
ნახატი 16. 2003-2007 წლებში თბილისში ქალთა მოსახლეობის რეპროდუქციული სისტემის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურა წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით 100,000 ქალზე	114
ნახატი 17. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების პროპორციული სიხშირე ასაკობრივი პერიოდების მიხედვით	117
ნახატი 18. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შეფარდებითი სიხშირე ასაკობრივი პერიოდების მიხედვით	118

ნახატი 19. სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში ქ.თბილისში PAP ტესტით გამოკვლეული ქალების საერთო რაოდენობა	128
ნახატი 20. სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში ქ.თბილისში კოლპოსკოპიით გამოკვლეული ქალების საერთო რაოდენობა	129
ნახატი 21. სკრინინგის ეროვნული ცენტრის მიერ 2013 წელს ქ.თბილისში PAP ტესტით გამოკვლეული ქალების საერთო რაოდენობა ასაკის მიხედვით	129
ნახატი 22. სკრინინგის ეროვნული ცენტრის მიერ 2013 წელს ქ.თბილისში PAP ტესტით გამოკვლეული ქალების ხვედრითი წონა ასაკის მიხედვით	130
ნახატი 23. საშვილოსნოს ყელის კიბოს წინა დაავადებების (CIN3/CIS) პრევალენტობა ქ.თბილისში 2013 წელს Pap სკრინინგს დაქვემდებარებულ ყოველ 1,000 ქალზე (%0) ასაკის მიხედვით	131
ნახატი 24. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობა ქ.თბილისში 2013 წელს Pap სკრინინგს დაქვემდებარებულ ყოველ 1,000 ქალზე (%0) ასაკის მიხედვით	132
ნახატი 25. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების კლინიკური სტადიების ხვედრითი წონები	132
ნახატი 26. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევები ასაკის მიხედვით	133
ნახატი 27. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევები სტადიებისა და ასაკის მიხედვით	133
ნახატი 28. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს გინეკოლოგიური გასინჯვის ეფექტიანობის შეფასება	135
ნახატი 29. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს Pap ტესტის ეფექტიანობის შეფასება	136
ნახატი 30. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს კოლპოსკოპიის ეფექტიანობის შეფასება.	137
ნახატი 31. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს გინეკოლოგიური გასინჯვის, Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის მგრძობელობის შედარება	138
ნახატი 32. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის ეფექტიანობის შეფასება	139
ნახატი 33. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება 25-59 წლის და 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდებში მიზნობრივი ჯგუფების 50%-იანი და 70%-იანი მოცვის შემთხვევებში	143

ნაშრომში მოყვანილი ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. 1998-2012 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ყოველწლიურად რეგისტრირებული შემთხვევების აბსოლუტური რაოდენობები 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	48
ცხრილი 2. ქ.თბილისში 2003-2012 წლებში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევები 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: აბსოლუტური რაოდენობები	49
ცხრილი 3. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით თბილისის მოსახლეობის განაწილება სქესისა და 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	50
ცხრილი 4. თბილისის 2002 წლის სტანდარტი: მოსახლეობის ხვედრითი წონები 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	51
ცხრილი 5. სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში ქ.თბილისში გამოკვლეული ქალების საერთო რაოდენობა	57
ცხრილი 6. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის რეგისტრირებული შემთხვევები 1998-2010 წლებში 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: აბსოლუტური რაოდენობები	60
ცხრილი 7. 1998-2010 წწ. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის უხეში და ასაკისათვის სპეციფიკური მაჩვენებლები 100,000 ქალზე	61
ცხრილი 8. 1998-2002 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლისა (ASR) და მისი სარწმუნოების 95%-იანი ინტერვალების (95% CI ASR) კალკულაცია	64
ცხრილი 9. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლისა (ASR) და მისი სარწმუნოების 95%-იანი ინტერვალების (95% CI ASR) კალკულაცია	65
ცხრილი 10. 2008-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლისა (ASR) და მისი სარწმუნოების 95%-იანი ინტერვალების (95% CI ASR) კალკულაცია	66
ცხრილი 11. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლისა (ASR) და მისი სარწმუნოების 95%-იანი ინტერვალების (95% CI ASR) კალკულაცია	67
ცხრილი 12. 1998-2010 წწ. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლებით (ASR) ყოველ 100 000 ქალზე	68
ცხრილი 13. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა 10 წლის ინტერვალებით (1988-1992, 2002-2008, 2008-2010) წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (ASR) მიხედვით	68
ცხრილი 14. 1998-2002 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის (AAR) კალკულაცია	70
ცხრილი 15. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის (AAR) კალკულაცია	71
ცხრილი 16. 2008-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის (AAR) კალკულაცია	71
ცხრილი 17. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის (AAR) კალკულაცია	72

ცხრილი 18. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კუმულაციური რისკი (CR ₀₋₇₄)	73
ცხრილი 19. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კუმულაციური რისკი (CR ₀₋₆₄)	74
ცხრილი 20. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით	74
ცხრილი 21. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით	75
ცხრილი 22. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა სტანდარტიზებული ინციდენტობის შეფარდების მაჩვენებლების (SIR) მიხედვით	75
ცხრილი 23. 1998-2010 წწ. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკა შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლებით (TASR ₂₅₋₆₄) ყოველ 100 000 ქალზე	75
ცხრილი 24. 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის დინამიკის შედარება დიფერენცირებული ასაკობრივი პერიოდების მიხედვით შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლებით (TASR)	77
ცხრილი 25. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით	78
ცხრილი 26. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში გარდაცვლილ ქალთა მოსახლეობაში კიბოს 10 ძირითადი ლოკალიზაცია	83
ცხრილი 27. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის კიბოს 10 ძირითადი ლოკალიზაციის მიზეზით გარდაცვალების შემთხვევები 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: აბსოლუტური რაოდენობები	84
ცხრილი 28. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში რისკის ქვეშ მყოფი ქალი/წელის რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	84
ცხრილი 29. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის კიბოს 10 ძირითადი ლოკალიზაციის მიზეზით გარდაცვალების ასაკისათვის სპეციფიკური სიხშირის მაჩვენებლები (ai) 100,000 ქალზე	85
ცხრილი 30. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) კალკულაცია 100,000 ქალზე	87
ცხრილი 31. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) სტანდარტული გადახრის (SE) და სარწმუნოების 95% ინტერვალების (95% CI ASR) კალკულაცია	88
ცხრილი 32. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის კუჭის კიბოს (C16) მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) კალკულაცია 100,000 ქალზე	89
ცხრილი 33. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის კუჭის კიბოს (C16) მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) სტანდარტული გადახრის (SE) და სარწმუნოების 95% ინტერვალების (95% CI ASR) კალკულაცია	90
ცხრილი 34. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის სწორი ნაწლავის კიბოს (C20) მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) კალკულაცია 100,000 ქალზე	91
ცხრილი 35. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის სწორი ნაწლავის კიბოს (C20) მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) სტანდარტული გადახრის (SE) და სარწმუნოების	

მაჩვენებლების (ASR) სტანდარტული გადახრის (SE) და სარწმუნოების 95% ინტერვალების (95% CI ASR) კალკულაცია	105
ცხრილი 50. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის ლეიკემიის (C95) მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) კალკულაცია 100,000 ქალზე	106
ცხრილი 51. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის ლეიკემიის (C95) მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) სტანდარტული გადახრის (SE) და სარწმუნოების 95% ინტერვალების (95% CI ASR) კალკულაცია	107
ცხრილი 52. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის კიბოს 10 ძირითადი ლოკალიზაციის მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურა წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) კალკულაცია 100,000 ქალზე	108
ცხრილი 53. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის (AAR) კალკულაცია	110
ცხრილი 54. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის (AAR) კალკულაცია	111
ცხრილი 55. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ტანის კიბოს მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის (AAR) კალკულაცია	112
ცხრილი 56. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საკვერცხეების კიბოს მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის (AAR) კალკულაცია	112
ცხრილი 57. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში კიბოს (ყველა ლოკალიზაციის) მიზეზით გარდაცვალების წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის (AAR) კალკულაცია	113
ცხრილი 58. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში ქალთა მოსახლეობის 65 წლის ასაკამდე რეპროდუქციული სისტემის კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციური რისკი (CR ₀₋₆₄)	114
ცხრილი 59. 2003-2007 წლებში ქ.თბილისში ქალთა მოსახლეობის 75 წლის ასაკამდე რეპროდუქციული სისტემის კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციური რისკი (CR ₀₋₇₄)	115
ცხრილი 60. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში ქალთა მოსახლეობის რეპროდუქციული სისტემის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) მიხედვით 100,000 ქალზე	115
ცხრილი 61. ქ.თბილისში 2003-2007 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე შეკვეცილი წლოვანებით	117
სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) შეფარდების (SRR) მიხედვით	
ცხრილი 62. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული თბილისელი ქალების სკრინინგ-დიაგნოსტიკის შედეგები ასაკის მიხედვით	130
ცხრილი 63. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს გინეკოლოგიური გასინჯვის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან	134
ცხრილი 64. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს Pap ტესტის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან	136
ცხრილი 65. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს	

ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს კოლპოსკოპიის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან	137
ცხრილი 66. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს გინეკოლოგიური გასინჯვის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან	139
ცხრილი 67. 2010-2014 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული გამოკვლევების აბსოლუტური რაოდენობები	140
ცხრილი 68. 2010-2014 წლებში ქ.თბილისში განხორციელებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება	140
ცხრილი 69. ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი და 70%-იანი მოცვის შემთხვევებში	141
ცხრილი 70. ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი და 70%-იანი მოცვის შემთხვევებში	142

ნაშრომში გამოყენებული ტერმინები და აბრევიატურები

Incidence - ინციდენტობა;

Prevalence - პრევალენტობა;

Crude Rate - უხეში მაჩვენებელი;

Age-Specific Rate - ასაკისათვის სპეციფიკური მაჩვენებელი;

SEER - Surveillance, Epidemiology and End Results (პროგრამა აშშ-ში);

ASR - Age-Standardized Rate - წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებელი;

95% CI ASR - წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი;

TASR - Truncated Age-Standardized Rate - შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებელი;

95% CI TASR - შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი;

AAR - Age-Adjusted Rate- წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებელი;

95% CI AAR - წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი;

SRR - Standardized Rate Ratio- სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდება;

95% CI SRR - სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი;

SIR - Standardized Incidence Ratio -სტანდარტიზებული ინციდენტობის შეფარდების მაჩვენებელი;

95% CI SIR - სტანდარტიზებული ინციდენტობის შეფარდების მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი;

CR- Cumulative Risk-კუმულაციური რისკის მაჩვენებელი;

95% CI CR - კუმულაციური რისკის მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი;

Ratio Frequency - პროპორციული სიხშირის მაჩვენებელი;

Sensitivity - მგრძობელობა (ტესტის);

Specificity- სპეციფიურობა (ტესტის);

Positive predictive value -პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების (პროგნოზირების) მნიშვნელობა;

Negative predictive value - ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების (პროგნოზირების) მნიშვნელობა;

Efficiency - ფასეულობა, ეფექტიანობა (ტესტის);

χ^2 (chi square) - სტატისტიკური სარწმუნოების კრიტერიუმი;

P- (Probability) - ალბათობა;

Pap ტესტი - საშვილოსნოს ყელიდან აღებული ნაცხების ციტოლოგიური კვლევა

პაპანიკოლაუს მეთოდით;

CIN(1-2) - საშვილოსნოს ყელის მსუბუქი და საშუალო ხარისხის დისპლაზია;

CIN3 -საშვილოსნოს ყელის მძიმე ხარისხის დისპლაზია, კიბოს წინა დაავადება;

CIS – Ca In Situ - საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელიალური კიბო.

შესავალი

თემის აქტუალობა

GLOBOCAN/IARC (2013) მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 530,000 და ამ მიზეზით გარდაცვალების 275,000 შემთხვევა. ამასთან ერთად, ამ ლოკალიზაციის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების 50%-ზე მეტი აღინიშნება ინდოეთში, ჩინეთში, ბრაზილიაში, ბანგლადეშში და ნიგერიაში. გარდაცვალების პიკი აღინიშნება აფრიკაში, კერძოდ ზამბიაში, სადაც ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად რეგისტრირდება ამ მიზეზით გარდაცვალების 38,6 შემთხვევა.

WHO-ის მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში ყოველ 100,000 ქალზე რეგისტრირებული იქნა ცერვიკალური კიბოთი ავადობის 17,7 და ამ მიზეზით გარდაცვალების - 9,7 შემთხვევა, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად, 9,1 და 3,1 შემთხვევა (Barot S., 2012).

IARC-ის მონაცემებით, 2012 წელს მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევათა 84% რეგისტრირებული იქნა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მაღალი დონეები აღინიშნა აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში, ხოლო ყველაზე დაბალი-ჩრდილოეთი ამერიკის ქვეყნებში- აშშ-სა და კანადაში, ასევე -ოკეანეაში. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ყველაზე მაღალი დონე (პიკი) აღინიშნა მალავიში (ASR=75,9), ხოლო ყველაზე დაბალი დონე- 37,8 - რეგისტრირებული იქნა ფიჯიში (Ferlay J. et al., 2013).

საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ეპიდემიოლოგიური თავისებურებები ინტესიურად შეისწავლებოდა გასული საუკუნის 50-90 წლებში (ჩარკვიანი ლ., 1977; ტყემელაშვილი ვ., 2007). უკვე მეოთხედი საუკუნეა გასული, რაც ეს საკითხი ჯეროვნად აღარ შესწავლილა, ამიტომ დღეისათვის არ გაგვაჩნია სარწმუნო ეპიდემიოლოგიური მონაცემები საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთის შესახებ.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC, 2013) მონაცემებით ბოლო 40 წლის განმავლობაში აშშ-ში აღინიშნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების კლების სტატისტიკურად სარწმუნო ტენდენცია, რაც დაკავშირებულია Pap-ტესტით სკრინინგული გამოკვლევებით აშშ-ში ქალთა პოპულაციის დიდი კონტიგენტის მოცვასთან.

Lofters A.K. et al. (2011) მონაცემებით, ონტარიოში ცერვიკალური სკრინინგით ქალთა მოსახლეობის მოცვის ოდენობა შეესაბამება 20-69 წლის ასაკის მიზნობრივ ჯგუფის 85%-ს.

Gold M.A. (2006) მიხედვით, ცერვიკალური Pap ტესტირება, რომელიც სკრინინგის დროს ტარდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნან პაციენტები ცერვიკალური კიბოსწინა დაავადებებით, ჩაუტარდეთ მკურნალობა და აწარმოონ მათზე follow-up დაკვირვება. განვითარებულ ქვეყნებში Pap ტესტით სკრინინგით მიღწეულია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 70-80%-ით შემცირება.

ნორვეგიის ცერვიკალური კიბოს სკრინინგის პროგრამის (NCCSP, 2014) მიხედვით, სკრინინგის დახმარებით ნორვეგიაში შესაძლებელი გახდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის 25%-ით, და ამ მიზეზით გარდაცვალების- 50%-ით შემცირება.

ქ.თბილისში 2008 წლიდან სკრინინგის ეროვნული ცენტრის, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის, ქ.თბილისის ონკოლოგიური დისპანსერიისა და აკად. ო.ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრის ბაზებზე ერთდროულად ამოქმედდა ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა. დღეისათვის სკრინინგ-დიაგნოსტიკური გამოკვლევა სულ გავლილი აქვს 80,000-ზე მეტ ქალს. ამავე დროს დღემდე არ არის ეპიდემიოლოგიური კვლევით შეფასებული ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთი და მისი პრევენციის მენეჯმენტი, ასევე- სკრინინგ-პროგრამის ხართ-ეფექტიანობა, მისი ჩატარების დროს ტესტების დიაგნოსტიკური ფასეულობა და დღემდე არ გაგვაჩნია ქალების ჯანმრთელობის ადვოკატობის ოპტიმიზაციის აკადემიური დასაბუთება.

პრობლემის აქტუალობიდან და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე შეირჩა წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევა და მისი დიზაინი, რომლის მიხედვით განისაზღვრა:

1. დაზუსტდეს ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ტვირთი და მისი მიზეზით სიკვდილიანობის სიხშირე და პირველად შეფასდეს იგი დამატებით, SEER (Surveillance, Epidemiology and End Results) პროგრამის შესაბამისად, თბილისის სტანდარტის (2002) მიხედვით წლოვანებით კორექტირებული სიხშირის მაჩვენებლების [Age Adjusted Rate (Tbilisi Standard, 2002)] გამოყენებით.

2. შეფასდეს ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამის (2013) დროს სკრინინგის ტესტების დიაგნოსტიკური ეფექტიანობა.
3. სკრინინგ-პროგრამის ხართ-ეფექტიანობის ეპიდემიოლოგიური შეფასებით ხელი შეეწყოს საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მენეჯმენტის ოპტიმიზაციას, აკადემიურად დასაბუთდეს ქალების ჯანმრთელობის ადვოკატობა.
4. ონკოლოგიის დარგში დესკრიპტული ეპიდემიოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებით ჩატარებული კომპლექსური აკადემიური კვლევით შესაძლებელი გახდეს აღნიშნულ სამეცნიერო დარგში მივიღოთ ახალი და უფრო სრულყოფილი ცოდნა, რაც პერსპექტივაში შექმნის მეცნიერულად დასაბუთებულ საფუძველს საზოგადოების სოციალური-ეკონომიკური პროგრესისათვის.

კვლევის მიზანი

საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთის დაზუსტებით, სკრინინგის ტესტების დიაგნოსტიკური ფასეულობისა და პროგრამის ხართ-ეფექტიანობის ეპიდემიოლოგიური შეფასებით ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობაში ხელი შეეწყოს საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მენეჯმენტის ოპტიმიზაციას, აკადემიურად დასაბუთდეს ქალების ჯანმრთელობის ადვოკატობა, აღნიშნულ სამეცნიერო დარგში მიღებული იქნას ახალი და უფრო სრულყოფილი ცოდნა და ინიცირებული იქნას პერსპექტივაში სოციალური-ეკონომიკური პროგრესისათვის საფუძველის შექმნა.

კვლევის ობიექტი და დასახული ამოცანები

სამეცნიერო კვლევისას გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეგისტრის მონაცემები ქ.თბილისში 1998-2010 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შესახებ და საქსტატის მონაცემები ქ.თბილისში 2003-2007 წლებში კიბოს მიზეზით გარდაცვალების შესახებ, ასევე - სკრინინგ-პროგრამის მასალები და მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული მონაცემები.

მიმდინარე სკრინინგ-პროგრამის ეპიდემიოლოგიური შეფასების მიზნით, დაგეგმილი კვლევა ითვალისწინებს სპეციალური ეპიდემიოლოგიური ანკეტის საშუალებით დამატებითი ინფორმაციის მოძიებას, მონაცემთა ელექტრონული ბაზების შექმნას, მათ სტატისტიკურ დამუშავებას, მიღებული შედეგების ანალიზს.

ვინაიდან დასახული სამეცნიერო კვლევის საკითხი მოიცავს მრავალ კომპონენტს, კვლევის დიზაინი გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

I. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ტვირთის და მისი მიზეზით სიკვდილიანობის სიხშირის დაზუსტება:

1. 1998-2010 წწ. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ტვირთის დაზუსტება-სტანდარტიზაცია.
2. 2003-2007 წლებში თბილისის ქალთა მოსახლეობის საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების ინდიკატორების დაზუსტება-სტანდარტიზაცია.

II. 2010-2014 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამის ხარჯთ-ეფექტიანობის შეფასება (სკრინინგის ეროვნული ცენტრი):

3. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ტესტების დიაგნოსტიკური ეფექტიანობისა და ფასეულობის შეფასება.
4. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამის ხარჯთ-ეფექტიანობის ეპიდემიოლოგიური შეფასება.

კვლევის მეცნიერული სიახლე

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამის მენეჯმენტის ეპიდემიოლოგიური შეფასებით აღნიშნულ სამეცნიერო დარგში მიღებული იქნა ახალი და უფრო სრულყოფილი ცოდნა, კერძოდ:

1. პირველად იქნა დადგენილი, რომ ქ.თბილისში 1998-2010 წლებში ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა უხეში მაჩვენებელით 48,9 ქალი, წლოვანების მიხედვით სტანდარტიზებული მაჩვენებელით (ASR) -37,0 ქალი, ხოლო წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებელით (AAR) - 46,5 ქალი. თბილისელ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კუმულაციური რისკის მაჩვენებელმა (CR_{0-74}) 1998-2010 წლებში შეადგინა 3,9%.
2. პირველად იქნა დადგენილი, რომ 2008-2010 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა SRR-ს მიხედვით გაიზარდა 1,5-ჯერ, SIR-ს მიხედვით-53,9%-ით, ხოლო 2008-2010 წლებში 1988-1992 წლებთან შედარებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა SRR-ს მიხედვით გაიზარდა 4,8-ჯერ.
3. პირველად იქნა დადგენილი, რომ ქ.თბილისში 1998-2010 წლებში TASR-ს მიხედვით აღინიშნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის მატების დინამიკა.

ამავე დროს, დადგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის იდენტური დონეები 25-59 და 25-64, ასევე- 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში. ამასთან ერთად საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე 25-59 და 25-64 წლებთან შედარებით მატულობს ასაკობრივ პერიოდებში 30-64 და 30-69 წლები.

4. პირველად იქნა დადგენილი, რომ 30-64 ასაკობრივი პერიოდის ქალებში, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით, SRR-ის მიხედვით 1,2-ჯერ, პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1,6-ჯერ, ხოლო შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე.
5. პირველად იქნა დადგენილი, რომ 2003-2007 წლებში დედაქალაქის ყოველ 100,000 ქალ მოსახლეზე უხეში მაჩვენებლის მიხედვით ამ მიზეზით ყოველწლიურად გარდაიცვლება 5,1, ASR-ს მიხედვით- 3,6, ხოლო AAR-ს მიხედვით- 4,7. კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ეკავა რანგით VI ადგილი და მისი ხვედრითი წონა შეადგენდა 2,9%-ს. თბილისელ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციური რისკის მაჩვენებელმა (CR₀₋₇₄) შეადგინა 0,4%.
6. პირველად იქნა დადგენილი, რომ სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობამ შეადგინა 9,8%0, ხოლო კიბოს პრევალენტობამ -6,1%0.
7. პირველად იქნა დადგენილი, რომ Pap ტესტით შემთხვევათა 0,2%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 4,7%-ში ჰიპერდიაგნოსტიკას. კოლპოსკოპიით შემთხვევათა 0,8%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, 2,7%-ში ჰიპერდიაგნოსტიკას. Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის მგრძობელობამ შეადგინა 96.3%, სპეციფიურობამ- 98.5%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -92.9%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა - 83.3%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა- 98.1%.

დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები

1. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელია სკრინინგს დაქვემდებარებული ქალების რაოდენობის ეტაპობრივად 2-3-ჯერ გაზრდა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია, ერთის მხრივ ქალთა მოსახლეობის განათლება და მათში პერიოდულად სკრინინგის გავლის ჩვევის გამომუშავება, მეორეს მხრივ კი - პროგრამის დაფინანსების გაზრდა.
2. ეპიდემიოლოგიური კვლევის საფუძველზე დასაბუთებულია სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანა და 25-59 წლის ასაკობრივი პერიოდის ნაცვლად სკრინინგის 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება, რაც გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობას: 30-64 ასაკობრივი პერიოდის ქალებში, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით, SRR-ის მიხედვით 1,2-ჯერ, პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1,6-ჯერ, ხოლო შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე; სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობის პიკური დონე (10,5%0) აღინიშნა 60-64 წლის ასაკის ქალებში.
3. ეპიდემიოლოგიურად დასაბუთებულია, რომ სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანა და მისი 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება მნიშვნელოვნად გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ხარჯთ-ეფექტიანობას: გაზრდის კიბოს შემთხვევების ადრეული გამოვლინების რაოდენობას და შეამცირებს გასაწევ ხარჯებს: მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევაში ~ 137,000 ლარით, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში - ~ 192,000 ლარით.

კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

სკრინინგის ტესტების დიაგნოსტიკური ფასეულობისა და სკრინინგ-პროგრამის ხართ-ეფექტიანობის ეპიდემიოლოგიური შეფასება, ქალების ჯანმრთელობის ადვოკატობის აკადემიური დასაბუთება და შემუშავებული რეკომენდაციების პრაქტიკაში იმპლემენტაცია ხელსშეეწყობს საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მენეჯმენტის ოპტიმიზაციას, კიბოს ადრეული გამოვლინების, პრევენციისა და სკრინინგ-პროგრამის

ხარჯთ-ეფექტიანობის გაზრდას და მისი ტვირთის შემცირებას, ხოლო პერსპექტივაში შექმნის მეცნიერულად დასაბუთებულ საფუძველს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის ფრაგმენტები მოხსენებულია საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე (თბილისი, 16.07.20013); საერთაშორისო კონფერენციაზე: „Presentation and supervision of PhD Protocols“ (Tromso, 28.04.2014; 01.05.2014); ფინალურ საერთაშორისო კონფერენციაზე: „Doctoral Program in Public Health: Norway Experience of Third Cycle Studies for Georgia CPEA-2012/10040“ (Tbilisi, 21.04.2015), საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის მეცნიერებებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (თბილისი, 20.07.2015).

თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთი

GLOBOCAN/ IARC (2013) მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 530,000 და ამ მიზეზით გარდაცვალების 275,000 შემთხვევა. ამასთან ერთად, ამ ლოკალიზაციის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების 50%-ზე მეტი აღინიშნება ინდოეთში, ჩინეთში, ბრაზილიაში, ბანგლადეშში და ნიგერიაში. გარდაცვალების პიკი აღინიშნება აფრიკაში, კერძოდ ზამბიაში, სადაც ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად რეგისტრირდება ამ მიზეზით გარდაცვალების 38,6 შემთხვევა.

Sankaranarayanan R., და Ferlay J. (2006) მონაცემებით საშვილოსნოს ყელის კიბო წარმოადგენს გინეკოლოგიური კიბოთი ავადობისა და სიკვდილიანობის ერთ-ერთ ძირითად ლოკალიზაციას.

Martin C.M. et al. (2009) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბო მსოფლიოში წარმოადგენს ქალებში კიბოს მეორე ძირითად ლოკალიზაციას, ძუძუს კიბოს შემდეგ, ხოლო გავითარებად ქვეყნებში გარდაცვალების წამყვან მიზეზს.

Barot S. (2012) გაანალიზა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემები საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობისა და სიკვდილიანობის სიხშირეებში განსხვავებების შესახებ მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის. 2008 წელს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში ყოველ 100,000 ქალზე რეგისტრირებული იქნა ცერვიკალური კიბოთი ავადობის 17,7 და ამ მიზეზით გარდაცვალების- 9,7 შემთხვევა, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად, 9,1 და 3,1 შემთხვევა. ავტორი ასკვნის, რომ მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, განვითარებად ქვეყნებში 2-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე და 3-ჯერ მაღალია ამ მიზეზით გარდაცვალების სიხშირე.

Jemal A. et al. (2011) მონაცემების მიხედვით, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე ჩამორჩება საშვილოსნოს ტანის, საკვერცხეებისა და სხვა ზოგიერთი ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის სიხშირეს.

Ferlay J. et al. (2013) გამოაქვეყნეს კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (IARC) მონაცემები 2012 წელს მსოფლიოში კიბოთი ავადობისა და გარდაცვალების ტვირთის შესახებ. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევათა 84% რეგისტრირებული იქნა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მაღალი დონეები აღინიშნა აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის

ქვეყნებში, ხოლო ყველაზე დაბალი- ჩრდილოეთი ამერიკის ქვეყნებში- აშშ-სა და კანადაში, ასევე -ოკეანეში. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ყველაზე მაღალი დონე (პიკი) აღინიშნა მაღავიში, სადაც წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლის მიხედვით ყოველ 100,000 ქალზე ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადდებოდა 75,9 ქალი (ASR=75,9). ამ ავადობის მაღალი დონეები ასევე აღინიშნა მოზამბიკსა (ASR=65,0) და კომოროსში (ASR=61,3). საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ყველაზე დაბალი დონე, 37,8 ყოველ 100,000 ქალზე, რეგისტრირებული იქნა ფიჯიში.

Ferlay J. et al. (2012) მონაცემების მიხედვით მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოს უკავია რანგით 7-ე ადგილი ქალთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში. 2012 წელს მსოფლიოში რეგისტრირებული იქნა ამ ლოკალიზაციის კიბოს 527,000 ახალი შემთხვევა, რამაც შეადგინა ქალთა ონკოლოგიური ავადობის 8%. წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიოში ამ ავადობის პიკი დაფიქსირდა აღმოსავლეთ აფრიკაში, ხოლო ყველაზე დაბალი დონე- დასავლეთ აზიაში.

Ferlay J. et al. (2008) მონაცემების მიხედვით 2008 წლისათვის, საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის დასმიდან 5 წლის შემდეგ, მსოფლიოში ცოცხალი იყო 1,55 მილიონი ქალი.

Gattoc L. et al. (2014) და Priore G. (2008) მონაცემებით მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდება 500,000 და ამ მიზეზით გარდაიცვლება 240,000 ქალი. ამასთან ერთად, დაავადების დიაგნოსტიკა შემთხვევათა 80%-ში ხდება მხოლოდ შორსწასულ სტადიებში.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC, 2013) მონაცემებით, 2012 წელს აშშ-ში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 11,818 და გარდაცვალების 3,939 შემთხვევა. აშშ-ში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ყველაზე მაღალი სიხშირე აღინიშნა ესპანელ ქალებში, შემდეგ აფროამერიკელებში, ამერიკელ ინდიელებში და აზიელ ქალებში. საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების ყველაზე მაღალი სიხშირე აღინიშნა აფროამერიკელ ქალებში.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2014) მონაცემებით, 2013 წელს აშშ-ში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 12,360 და გარდაცვალების 4,020 შემთხვევა. ამ ლოკალიზაციის კიბოს შემთხვევათა 20% გამოვლენილი იქნა 65 წლის ასაკის ქალებში, მაშინ როდესაც 20 წლის ასაკამდე ძალზე იშვიათად რეგისტრირდება. აშშ-ში საშვილოსნოს ყელის კიბოს ყველა სტადიაში

დაავადებული ქალების 1-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი შეადგენს 87%, ხოლო 5-წლიანი გადარჩენის- 68%. საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეულ სტადიაში გამოვლენის შემთხვევაში 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი შეადგენს 91%.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) და კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (NCI, 2010) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბო წარმოადგენს აშშ-ს ქალთა მოსახლეობის კიბოთი გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. კერძოდ, მას უკავია მე-3-ე სარანგო ადგილი გინეკოლოგიური კიბოს მიზეზით გარდაცვალების და მე-14-ე- აშშ-ს ქალთა მოსახლეობის ყველა ლოკალიზაციის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში.

Siegel R. et al. (2014) მონაცემებით, აშშ-ში ქალთა მოსახლეობის გარდაცვალების ძირითად მიზეზებს შორის, საშვილოსნოს ყელის კიბო წარმოადგენს გინეკოლოგიური კიბოს მე-3-ე ძირითად ლოკალიზაციას.

SEER (2013) მიხედვით, 2008-2010 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, სიცოცხლის მანძილზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების რისკი აქვს აშშ-ში მცხოვრები ყოველი 151-დან 1 ქალს. დაავადების საშუალო ასაკი შეადგენდა 49 წელს. ადრეულ სტადიებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის სიხშირე შეადგენს 91%-ს, დაავადების რეგიონალური გავრცელების შემთხვევაში- 57%-ს, ხოლო შორეულ ორგანოებში მეტასტაზირებისას- მხოლოდ 16%-ს. 2010 წლისათვის აშშ-ში საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულ პაციენტთა კონტიგენტის მოცულობა დაახლოებით შეადგენდა 250,000 ქალს.

Frumovitz M. (2013) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბო მორფოლოგიურად ძირითადად არის ორი სახის: ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა (გვხდება შემთხვევათა 69%-ში) და ადენოკარცინომა (25%). სხვა სახის სიმსივნეების საერთო სიხშირე შეადგენს 6%-ს. ანალოგიურ მონაცემებს აქვეყნებენ Ries L.A.G. et al. (2007).

Ferlay J. et al. (2013) მონაცემების მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს უკავია რანგით 6-ე ადგილი ქალთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში ევროპაში. 2012 წელს ევროპაში რეგისტრირებული იქნა ამ ლოკალიზაციის კიბოს 58,400 ახალი შემთხვევა, რამაც შეადგინა ქალთა ონკოლოგიური ავადობის 4%. წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით ევროპაში ამ ავადობის პიკი დაფიქსირდა რუმინეთში, ხოლო ყველაზე დაბალი დონე- შვეიცარიაში.

Foley G. et al. (2011), ნაციონალურ კიბოს რეგისტრის მონაცემთა ბაზის მიხედვით, რომელიც მოიცავდა 1982-2006 წლებს და ინფორმაციას 71,511 პაციენტის შესახებ, მივიდა

დასკვნამდე, რომ ინგლისში 35 წლამდე ასაკში საშვილოსნოს ყელის კიბოს უკავია რანგით მე-2-ე ადგილი ქალთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში.

იგივეს ადასტურებს ინგლისის სტატისტიკის ნაციონალური ოფისიც (ONS, 2010), რომლის მონაცემებით 2007 წელს ინგლისში ყოველ 100,000-ზე 8,0 ქალი დაავადდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი, რომელიც 35 წლის ასაკამდე ქალებში წარმოადგენს კიბოს მეორე ძირითად ლოკალიზაციას.

Arbyn M. et al. (2009) შეისწავლეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემთა ბაზა ევროკავშირის ქვეყნებში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შესახებ. 2004 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ამ მიზეზით გარდაიცვალა 16,000-ზე მეტი ქალი. წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით დინამიკაში ამ მიზეზით გარდაცვალების სიხშირე მნიშვნელოვნად შემცირდა ევროკავშირის ძველ წევრ (დასავლეთი და ცენტრალური ევროპის) ქვეყნებში, უმნიშვნელოდ შემცირდა ჩეხეთში და პოლონეთში, ისევ რჩება მაღალ ნიშნულზე ესტონეთში და სლოვაკიაში, ხოლო გაიზარდა - ბულგარეთში, ლატვიაში, ლიტვაში და რუმინეთში.

Dušek, L. et al. (2005) მონაცემებით ჩეხეთში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდება 1,000 და ამ მიზეზით გარდაიცვლება 400 ქალი. ჩეხეთის ნაციონალური კიბოს რეგისტრის (CNCR, 2014) მონაცემებით 2011 საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველ 100,000 ქალზე დაავადდა 19 და ამ მიზეზით გარდაიცვალა 7 ქალი.

ფინეთის კიბოს რეგისტრის (2014) მონაცემებით, ფინეთში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდება 150 და ამ მიზეზით გარდაიცვლება 50-70 ქალი. ყოველ 100,000 ქალზე ცერვიკალური კიბოს ინციდენტობა შეადგენს 4, ხოლო სიკვდილიანობა-1.

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ავსტრალიის ინსტიტუტისა და კიბოს რეგისტრთა ავსტრალიის ასოციაციის (2012) ერთობლივი მონაცემების მიხედვით 2011 წელს ავსტრალიაში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 818, და ამ მიზეზით გარდაცვალების 229 შემთხვევა. 1991 წლიდან სკრინინგის პროგრამის ამოქმედების შემდეგ ავსტრალიაში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების განახევრება.

O'Brien E. D. et al. (2000) შეისწავლეს 1986-1997 წლებში ავსტრალიელ აბორიგენ ქალებში გარდაცვალების მიზეზები. ავსტრალიელი აბორიგენი ქალების გარდაცვალების სტრუქტურაში რანგით 1-ლი ადგილი ეკავა საშვილოსნოს ყელის კიბოს.

კანადის კიბოს საზოგადოების (CCS, 2013) მონაცემებით, ონტარიოში 2013 წელს რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 610, და ამ მიზეზით გარდაცვალების 150 შემთხვევა.

Fitzgerald D.W. (2014) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის გავრცელებით ჰაიტი წარმოადგენს ავადობის მაღალი დონის ერთ-ერთ რეგიონს მსოფლიოში. აქ ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად რეგისტრირდება ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის 94 შემთხვევა. ჰაიტიში საშვილოსნოს ყელის კიბო წარმოადგენს ქალთა მოსახლეობის გარდაცვალების ძირითად მიზეზს. ამ მიზეზით ყოველწლიურად გარდაიცვლება 1,500 ქალი.

Sankaranarayanan R. (2006) მონაცემებით საშვილოსნოს ყელის კიბო წარმოადგენს წამყვან დაავადებას ეკონომიკურად დაბალი განვითარების ქვეყნებში.

Gatune J.W. და Nyamongo I.K. (2005) ეთანხმებიან იმ გარემოებას, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის საშვილოსნოს ყელის კიბო წარმოადგენს ქალთა ჯანმრთელობის ძირითად პრობლემას.

Tay S.K. et al. (2008) მოჰყავთ სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის მონაცემები ყოველ 100,000 ქალზე: 10- ჰონგ-კონგში და სინგაპურში, და დაახლოებით 20- მალაიზიაში, ფილიპინებში, ტაილანდში და ვიეტნამში.

Bingham A. et al. (2003) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს შესახებ მოსახლეობის დაბალი ინფორმირებისა და პრევენციული სერვისის სისტემების არ არსებობის გამო სუბ-საჰარული აფრიკის ქვეყნებში ამ ლოკალიზაციის კიბოს გამოვლინება შემთხვევათა 80%-ში ხდება დაავადების ბოლო სტადიებში.

Shi J.F. et al. (2008) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე ჩინეთში 1998-2002 წლებში მერყეობდა რეგიონების მიხედვით. წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების მიხედვით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად ავადდებოდა 2,4 ჯიანში, 4,6- გუანჯოუში, ხოლო ავადობის მაღალი სიხშირით გამორჩეულ ისეთ ქალაქებში, როგორცაა იანგჩენგი და შანხაი, ინციდენტობის მაჩვენებელმა შეადგინა 81.

1.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის ფაქტორები

Napolitano M. et al. (2012) საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკის ფაქტორებს წარმოადგენენ მრავალი მშობიარობა და სექსუალური გზით გადამდები ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორცაა HIV და ადამიანის პაპილომის ვირუსი (HPV), რომლებიც ზრდიან საშვილოსნოს ყელის უჯრედების მგრძობელობასა და რეგენერაციას.

Frumovitz M. (2013) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარება შემთხვევათა 99,7%-ში დაკავშირებულია ადამიანის პაპილომის ვირუსთან (HPV). ამავე დროს, ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარების რისკი 15-ჯერ მაღალია ქალების HPV-ის 16 და 18 გენოტიპებით ინფიცირების შემთხვევაში, რომელთა ექსპოზიციასთან არის დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს ყველა შემთხვევის დაახლოებით 70%-ის განვითარება.

ამ მოსაზრებას ადასტურებენ Gattoc L. et al. (2014). მათი მონაცემებით, დღეისათვის ცნობილი HPV-ის 100-ზე მეტი გენოტიპიდან 40 იწვევს გენიტალური ორგანოების ინფიცირებას. გადადის რა სექსუალური გზით, HPV წარმოადგენს საშვილოსნოს ყელის ინვაზიური და ინტრაეპითელიალური კარცინომის გამომწვევ მიზეზს. ამავე დროს საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევათა 70% დაკავშირებულია HPV-ის 16 და 18 გენოტიპებთან.

HPV-ის 16 და 18 გენოტიპებსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს შორის ასოციაციას, ეპიდემიოლოგიური კვლევების საფუძველზე, ადასტურებენ კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (IARC, Lyon) მეცნიერთა ჯგუფებიც (Munoz N. et al., 2003; Maucourt-Boulch D. et al., 2008).

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2014) მონაცემებით, ადამიანის პაპილომის ვირუსით (HPV) ინფიცირების ძირითად გზას სექსუალური კავშირი წარმოადგენს. ამავე დროს, იგი შეიძლება გავრცელდეს არასექსუალური გზითაც, კერძოდ- ინფიცირებული კანის არაინფიცირებულ კანთან კონტაქტის საშუალებით.

აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (NCI, 2013) მონაცემებით, სექსუალურად აქტიური მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრების მანძილზე ინფიცირდება ადამიანის პაპილომის ვირუსის (HPV) ერთი ან მეტი გენოტიპით. ამავე დროს ყველა ქალს არ უნვითარდება საშვილოსნოს ყელის კიბო. ამ დაავადების განვითარების რისკი მაღალია მხოლოდ ვირუსული ინფექციის ორგანიზმში პერსისტენციის შემთხვევაში.

Holschneider M. (2013) მონაცემებით, ადამიანის პაპილომის ვირუსის (HPV) ინფექცია ძირითადად წარმავალია, იგი ელიმინირდება ორგანიზმიდან. ადამიანის ორგანიზმი 2-5 წლის განმავლობაში შემთხვევათა 90%-ში თავისუფლდება ამ ინფექციისაგან. ადამიანის პაპილომის ვირუსის (HPV) ორგანიზმში პერსისტენციის რისკის ფაქტორს წარმოადგენს ქალის ასაკი. 55 და მეტი წლის ასაკის ქალებში HPV-ის პერსისტენციის რისკი შეადგენს 50%-ს, ხოლო 25 და ნაკლები წლის ასაკის ქალებში- მხოლოდ 20%-ს.

Hariri S. et al. (2011) მოსაზრებით, ადამიანის პაპილომის ვირუსის (HPV) ორგანიზმში პერსისტენციის დროს ყოველთვის არ ვითარდება საშვილოსნოს ყელის კიბო. ამ დაავადების განვითარებისათვის აუცილებელია HPV-ს ექსპოზიციის არსებობა ხანგრძლივი დროის მანძილზე.

WHO/ICO (2010) მონაცემებით დიდ ბრიტანეთში HPV ინფექციის პრევალენტობა შეადგენს 8,9%-ს, მათ შორის HPV-ს 16 და/ან 18 გენოტიპების პრევალენტობა- 2,4%.

დიდი ბრიტანეთის ჯანრთელობის დაცვის სააგენტოს (HPA, 2010) მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში 2009 წელს სექსუალური გზით გადამდები ინფექციებით დაავადების პიკი მოდიოდა 19-20 წლის ქალებზე, ამავე დროს 15-24 წლის ქალებში 1 წლის განმავლობაში აღინიშნა განმეორებითი გენიტალური ინფიცირება.

დიდი ბრიტანეთის ნაციონალური ჯანრთელობის სერვისის (NHS, 2008) მონაცემებით, 2008 წლიდან ინგლისში დაწყებული იქნა 12-13 წლის გოგონების ვაქცინაცია HPV-ს 16 და 18 გენოტიპებზე.

Kohli M. et al. (2007) მონაცემებით 12 წლის ასაკის გოგონების ვაქცინაცია HPV-ს 16 და 18 გენოტიპებზე 76%-ით ამცირებს მათ რისკს ცხოვრების განმავლობაში დაავადდნენ საშვილოსნოს ყელის კიბოთი.

Herdman C. et al. (2000) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარება დაკავშირებულია ადამიანის პაპილომის ვირუსის (HPV) ქალის ორგანიზმში პერსისტენციასთან. საშვილოსნოს ყელის ეპითელიუმის კარცინოგენულ ტრანსფორმაციაში განსკუთრებულ როლს თამაშობენ HPV-16 და HPV-18.

აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს Cox J.T. (2006), რომლის მონაცემებით HPV-ით ინფიცირების სიხშირე იზრდება სექსუალური პარტნიორების რაოდენობის ზრდის პარალელურად.

მრავალი კვლევის მიხედვით HIV-ით ინფიცირებულ ქალებში, იმავე ასაკობრივი ჯგუფის HIV-ნეგატიურ ქალებთან შედარებით მაღალია HPV-ით ინფიცირების რიკი და

მათ შორის უფრო ხშირად ვითარდება საშვილოსნოს ყელის კიბოსწინა დაავადებები (deSanjose S., Palefsky J., 2002; Clarke B., Chetty R., 2002; Gaffikin L. et al., 2003).

Smith J.S. et al. (2002) მონაცემებით, HPV-ით ინფიცირებული ქალები, რომლებიც ასე დამატებით არიან ინფიცირებულები, მაგალითად ქლამიდია ტრაქომატისით ან მარტივი ჰერპესის ვირუსით-2 (HSV-2), არიან უფრო მაღალი რისკის ქვეშ განვითარდეთ საშვილოსნოს ყელის კიბო.

Winer R.L. et al. (2006) მოსაზრებით, ვინაიდან HPV ძირითადად გადადის სექსუალური კონტაქტით, სექსუალური აქტივობისაგან თავშეკავება ან მონოგამია ამცირებს ამ ვირუსისაგან ინფიცირების რისკს. პრეზერვატივების რეგულარულად გამოყენების შემთხვევაში 70%-ით მცირდება HPV-ით ინფიცირების საშიშროება.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმუნური სისტემის სუპრესია, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს HIV-ით ინფიცირების ან არასამედიცინო მიზნით ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების გამო ორგანიზმის იმუნური რეაქტიულობის დაქვეითებასთან. ეს უკანასკნელი მდგომარეობა ამაღლებს ქალის ორგანიზმში HPV-ს პერსისტენციის შესაძლებლობას და შემდგომში საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკს.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) მონაცემებით, ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალებში, რომელთა სისხლის ტესტირებით დადასტურდა წარსულში ან აწმყოში ქლამიდური ინფექციის არსებობა, მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) მონაცემებით, სრულ ვადიანი ორსულობა და მშობიარობა 17 და ნაკლები წლის ასაკში, 25 და მეტი წლის ასაკთან შედარებით, ცხოვრების შემდგომ ეტაპზე ორჯერ ზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკს. ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარება ასევე იზრდება 3 ან მეტი სრულ ვადიანი ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში, რაც დაკავშირებულია ქალის ორგანიზმში ჰორმონალურ ცვლილებებთან და იმუნური რეაქტიულობის დაქვეითებასთან.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) მონაცემებით, იმ ქალებში, რომელთა დედა ან და დაავადებული იყო საშვილოსნოს ყელის კიბოთი, 2-3-ჯერ მაღალია ამ დაავადების განვითარების რისკი, იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც არ ჰქონიათ ანალოგიური ოჯახური ისტორია.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) მონაცემებით, 5 და მეტი წლის განმავლობაში ორალური კონტრაცეპტივების მიღება ზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკს. 24 ეპიდემიოლოგიური კვლევის კოლაბორატიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული რისკი იზრდება ორალური კონტრაცეპტივების მიღების ხანგრძლივების პარალელურად და, პირიქით, მცირდება- მათი მიღების შეწყვეტასთან ერთად. ორალური კონტრაცეპტივების მიღების შეწყვეტიდან 10 წლის შემდეგ აღნიშნული რისკის ოდენობა უტოლდება 0-ს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO, 2002) დაადასტურა, რომ მრავალი კვლევის მიხედვით ორალური კონტრაცეპტივების ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიღება ამადლებს საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკს.

„შემთხვევა-კონტროლის“ ტიპის ეპიდემიოლოგიური კვლევის საფუძველზე Moreno V. et al. (2002) მივიდნენ დასკვნამდე, რომ HPV-ით ინფიცირებულ ქალებში, რომლებიც 5-დან 9 წლამდე იღებდნენ ორალურ კონტრაცეპტივებს, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით 3-ჯერ ხშირად ავადდებიან ცერვიკალური კარცინომით, ხოლო 10 და მეტი წლის შემთხვევაში- 4-ჯერ ხშირად. ამასთან ერთად, ცხოვრების წესის შეცვლა, მაგალითად თამბაქოს წევსათვის თავის დანებება და სექსუალური პარტნიორების რაოდენობის შემცირება ეხმარება ქალებს საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკის რედუქციაში.

Gattoc L. et al. (2014) მონაცემებით, ორალური კონტრაცეპტივების გამოყენება უფრო ხშირად ხდება სექსუალურად აქტიური ქალების მიერ. აქედან გამომდინარე, საშვილოსნოს ყელის კიბოსთან მიმართებაში, ორალური კონტრაცეპტივების გამოყენება შესაძლებელია წარმოადგენდეს ე.წ. „შერევის“ ფაქტორს (confounding), და არა ჭეშმარიტ დამოუკიდებელ რისკის ფაქტორს.

Appleby P. et al. (2007) მიხედვით კლინიცისტებს შეუძლიათ გაამხევიონ პაციენტები, თუ მათთან გასაუბრებისას აუხსნიან, რომ ფერტილობის მენეჯმენტით შესაძლებელია პოტენციური რისკის თავიდან აცილება.

Frumovitz M. (2013) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის ფაქტორებს აგრეთვე წარმოადგენენ სექსუალური აქტიურობის ადრეულ ასაკში დაწყება, სექსუალური პარტნიორების დიდი რაოდენობა და მათი ხშირი ცვლა, მაღალი რისკის მქონე სექსუალური პარტნიორებთან კავშირი და დაუცველი სექსუალური კავშირი. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (NCI, 2013) მონაცემებიც.

მრავალი კვლევის მიხედვით, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკის ფაქტორებს წარმოადგენენ ადრეულ ასაკში სექსუალური ცხოვრების დაწყება და პირველი ორსულობა, სექსუალური პარტნიორების ხშირი ცვლა, ორალური კონტრაცეპტივების ხანგძლივი დროის განმავლობაში გამოყენება, ანამნეზში გადატანილი გენიტალური ინფექციები, სიგარეტის წევა (Moreno V. et al., 2002; Castellsagué X. et al., 2006; Schiffman M. et al., 2007).

ამ მოსაზრებას ეთანხმებიან Parkin D.M. et al. (2001), რომელთა მონაცემებით HPV-ით ინფიცირება ადრეულ ასაკში პირველი სექსუალური ინტერკონტაქტის დროს, მრავალი სექსუალური პარტნიორი და თამბაქოს წევა წარმოადგენენ საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკის ფაქტორებს.

ზოგიერთი კვლევა მიუთითებს დადებით კავშირზე მაღალ ფერტილობასა და საშვილოსნოს ყელის კიბოს შორის. იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც საერთოდ არ უმშობიარებიათ, 3-4-ჯერ ნამშობიარებ ქალებში 2,6-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი (Kahn J.A. et al., 2002; Koshiol J. et al., 2006).

Muñoz N. et al. (2002) მონაცემებით ქალებში, რომლებიც ინფიცირებული არიან HPV-ით და 7 ან მეტჯერ არიან ნამშობიარები, აქვთ 4-ჯერ მაღალი რისკი განუვითარდეთ საშვილოსნოს ყელის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, ვიდრე არანამშობიარებ ქალებს, ასევე - 2-3-ჯერ მაღალი რისკი, ვიდრე 1-2-ჯერ ნამშობიარებ ქალებს.

მრავალი კვლევით არის დადასტურებული, რომ ცირკუმციზია ამცირებს მამაკაცის სასქესო ასოს კიბოს, საშარდე სისტემის ინფექციების, სექსუალური გზით გადადები ძირითადი დაავადებების, მათ შორის HPV-ს ინფექციის რისკს (O'Farrell, Egger, 2000; Quinn T.C. et al., 2000; Tsen et al., 2001).

1.3. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია

მსოფლიოში, როგორც ეკონომიკურად განვითარებულ, ისე განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში, საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციული ღონისძიებები ტარდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. პირველადი პრევენცია- გულისხმობს მოსახლეობის HPV ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაციით საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკის შემცირებას;

2. მეორადი პრევენცია- გულისხმობს სკრინინგული გამოკვლევის საშუალებით კიბოსწინა დაავადებების გამოვლინებითა და მკურნალობით საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების პრევენციას, ან ადრეულ სტადიებში საშვილოსნოს ყელის კიბოს გამოვლენითა და პაციენტების რადიკალური მკურნალობით ამ მიზეზით ადრეული გარდაცვალების პრევენციას.

ქვემოთ მიმოხილულია თანამედროვე ლიტერატურა საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის ამ ორ ძირითად საკითხზე.

1.3.1. ცერვიკალური სკრინინგი

აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (NCI, 2006) მონაცემებით საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზით პაციენტების 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები დიფერენცირებულია და დაავადების სტადიების მიხედვით არის შემდეგნაირი: IA-96-99%, IB-80-90%, II-65-69, III-40-43%, IV-15-20%. შესაბამისად, ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია ამ დაავადების ადრეულ სტადიებში გამოვლინება.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC, 2013) მონაცემებით ბოლო 40 წლის განმავლობაში აშშ-ში აღინიშნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების კლების სტატისტიკურად სარწმუნო ტენდენცია, რაც დაკავშირებულია Pap-ტესტით სკრინინგული გამოკვლევებით აშშ-ში ქალთა პოპულაციის დიდი კონტიგენტის მოცვასთან.

USPSTF (2012) მონაცემებით აშშ-ში 1955-1992 წლებში საგრძნობლად შემცირდა საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობისა და მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, რაც დაკავშირებულია Pap ტესტის საშუალებით ქალთა მოსახლეობის სკრინინგის ქვეყნის მასშტაბით ინპლემენტაციასთან. კიბოს მაღალი ხარისხის ინვაზიას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც Pap ტესტირება ქალებს საერთოდ არ ჩაუტარებიათ ან სკრინინგ-ტესტირება არა აქვთ გავლილი ბოლო 5 წელი.

Yang D.X. et al. (2014) SEER-ის მონაცემთა ბაზის მიხედვით გაანალიზეს საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობის შემთხვევები 1976-2009 წლებში და, ასევე, აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (NCI) ანგარიშები 1951-2010 წლებში ჩატარებული ცერვიკალური სკრინინგის შედეგების შესახებ. აშშ-ში ცერვიკალური სკრინინგით ქალთა მოსახლეობის მოცვა მთელი პერიოდის განმავლობაში სტაბილურად აღემატებოდა გამოსაკვლევ მიზნობრივი ჯგუფის 70%-ს. მაგალითად, ეს მაჩვენებელი

1982 წელს შეესაბამებოდა 71,7%, ხოლო 2010 წელს- 73,8%. პრე- და პოსტსკრინინგული პერიოდების ეპიდემიოლოგიურ მონაცემთა ანალიზის შედეგად ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აშშ-ში სკრინინგის შედეგად 30 წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა საშვილოსნოს ყელის კიბოს 105,000-დან 492,000-მდე შემთხვევის პრევენცია.

საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირის კლების ტენდენციას და მის კავშირს Pap ტესტის საშუალებით ქალთა მოსახლეობის სკრინინგთან ადასტურებს ამერიკის კიბოს საზოგადოებაც (ACS, 2013).

Willoughby B.J. et al. (2006) მონაცემებით განვითარებულ ქვეყნებში განხორციელებული სკრინინგის შედეგად ბოლო 50 წლის განმავლობაში 75%-ით შემცირდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა.

Lofters A.K. et al. (2011) მონაცემებით, ონტარიოში ცერვიკალური სკრინინგით ქალთა მოსახლეობის მოცვის ოდენობა შეესაბამება 20-69 წლის ასაკის მიზნობრივ ჯგუფის 85%-ს.

ონტარიოს კიბოს რეგისტრის (OCR, 2012) მონაცემებით, 1981 წლიდან 2009 წლამდე დროის პერიოდში, სკრინინგის შედეგად ონტარიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე შემცირდა 38%-ით, ხოლო ამ მიზეზით გარდაცვალების სიხშირე- 59%-ით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამების გაიდლაინები განსხვავებულია სხვადასვა ქვეყანაში. მაგალითად, 2012 წელს აშშ-ში სკრინინგი ტარდებოდა USPSTF-ისა და ACS/ASCCP/ASCP-ის მიერ რეკომენდებული 2 გაიდლაინის მიხედვით (USPSTF, 2012; Saslow D. et al., 2011).

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ავსტრალიის ინსტიტუტის (2014) მონაცემებით ავსტრალიის ნაციონალური ცერვიკალური სკრინინგ-პროგრამის მიხედვით რეკომენდებულია ყველა სექსუალურად აქტიური ქალის Pap ტესტით სკრინინგი 18-დან 70-მდე წლის ასაკობრივ პერიოდში. ამასთან ერთად 18-20 წლის ქალბატონებს Pap ტესტირება უტარდებათ 2 წელიწადში 1-ჯერ, ხოლო შემდგომ ასაკობრივ პერიოდში, სექსუალური აქტივობის მიხედვით, 1 ან 2 წელიწადში 1-ჯერ.

Sasieni P. et al. (2009) მონაცემებით ინგლისში 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყველა ქალს 3-5 წელიწადში 1-ჯერ უტარდება სკრინინგი. ბოლო 20 წლის განმავლობაში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევების განახევრება.

მაგალითად, 1988 წელს, ანუ როდესაც ამოქმედდა სკრინინგის პროგრამა, 4,132 ქალს

დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზი, ანუ წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლის მიხედვით ყოველ 100,000 ქალზე ამ წელს დაავადდა 16,2 ქალი. შედარებისთვის, 2008 წელს გამოვლენილი იქნა ამ ლოკალიზაციის კიბოს სულ 2,369 შემთხვევა, ანუ წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლის მიხედვით ყოველ 100,000 ქალზე ამ წელს დაავადდა 8,3 ქალი.

Rositch A.F. (2014) გაანალიზა რა SEER-ის 2000-2009 წლების მონაცემები მივიდა დასკვნამდე, რომ ქალებში 65 წლის ასაკის შემდეგ, ე.ი. იმ ასაკობრივ პერიოდში, როდესაც გაიდლაინის მიხედვით აღარ ტარდება ცერვიკალური სკრინინგი, მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე იზიარებენ Rositch A.F. et al. (20014).

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ Nowak R. et al. (2014). მათი კვლევის მიხედვით 2000-2009 წლებში აშშ-ში ყველა ასაკის ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადდებოდა 18,6 ქალი, მაშინ როდესაც ასაკობრივი ჯგუფში 65-69 წელი - რეგისტრირდებოდა ამ დაავადების 27,4 ახალი შემთხვევა.

Suba E.J. et al. (2014) რონდომიზებული კვლევით შეისწავლეს საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირეები ცერვიკალურ სკრინინგ დაქვემდებარებულ 224,929 ქალში და 138,624 ქალში, რომლებსაც საერთოდ არ ჩატარებიათ სკრინინგი. საკონტროლო ჯგუფის ქალებიდან, რომლებსაც საერთოდ არ ჩატარებიათ სკრინინგი 254 ქალი გარდაიცვალა საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებენ ინდოელი მკვლევარების სხვა პუბლიკაციებიც (Sankaranarayanan R. et al., 2007, 2009; Mittra I. et al., 2010 და Suba E.J. et al., 2014).

Silva G.A. et al. (2010) შეისწავლეს 1981-2006 წლებში ბრაზილიაში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების დინამიკა. ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ცერვიკალური სკრინინგისა და დაავადების გამოვლენის შემთხვევებში ადეკვატური მკურნალობის ჩატარების გარეშე მოსალოდნელია ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების სიხშირემ მომდევნო 10 წელიწადში მოიმატოს 10%-ით.

Herdman C. et al. (2000) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას მრავალი წლის განმავლობაში წინუსწრებენ კიბოსწინა და ფონური დაავადებები, რომელთა მკურნალობით შესაძლებელია კიბოს თავიდან აცილება. აქედან გამომდინარე, საშვილოსნოს ყელის კიბო პოტენციურად მიეკუთვნება კიბოს პრევენტაბელურ ფორმას, რომლით ავადობისა და გარდაცვალების სიხშირის შემცირება შესაძლებელია სკრინინგის საშუალებით.

Gold M.A. (2006) მიხედვით, ცერვიკალური Pap ტესტირება, რომელიც სკრინინგის დროს ტარდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნან პაციენტები ცერვიკალური კიბოსწინა დაავადებებით, ჩაუტარდეთ მკურნალობა და აწარმოონ მათზე follow-up დაკვირვება. განვითარებულ ქვეყნებში Pap ტესტით სკრინინგით მიღწეულია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 70-80%-ით შემცირება.

Nanda K. et al. (2000) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის CIN 2/3-ს დროს Pap ტესტის მგრძობელობა მერყეობს 47%-დან 62%-მდე, ხოლო სპეციფიკურობა - 60%-დან 85%-მდე.

Özgül N. (2007) აზრით ადრეული გამოვლინება და მკურნალობა წარმოადგენს ცერვიკალური კიბოს ეფექტურ გზას. იმ ქვეყნებში, რომლებშიც ორგანიზებული იქნა სკრინინგის პროგრამები ამ ლოკალიზაციის კიბოთი ინციდენტობის სიხშირემ განიცადა კლება, ვინაიდან Pap ტესტის საშუალებით შესაძლებელი გახდა ცერვიკალური კიბოსწინა დაავადებების გამოვლენა და მკურნალობა. ამრიგად, გვეხმარება 80%-ით შევამციროთ საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკი.

Goldie S. et al. (2005) მონაცემებით, კვლევებმა აჩვენეს, რომ 30-დან 40-მდე წლის ასაკის იმ ქალებს, რომლებმაც ცხოვრებაში 1-ჯერ მაინც ჩაიტარეს სკრინინგი Pap ტესტის საშუალებით, 25-36%-ით შეუმცირდათ საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკი.

პაციენტებში, რომლებაც მკურნალობა ჩაიტარეს მკურნალობა CIN რომელიმე ფორმის, მათ შორის CIN3 გამო, 2-3-ჯერ მაღალი აქვთ მომავალში საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი (Kalliala I. et al., 2005; Strander B. et al., 2007; Kalliala I. et al., 2010).

ფინეთის კიბოს რეგისტრის (2014) მონაცემებით, ფინეთში ცერვიკალური სკრინინგის პროგრამის ეფექტიანად მოქმედების შედეგად საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების სიხშირემ დაიკლო 80%-ით.

Ekwueme D.U. et al. (2014) შეაფასეს აშშ-ში მოქმედი ცერვიკალური სკრინინგის პროგრამა QALYs-ს მაჩვენებლის მიხედვით. აშშ-ში 1991-2007 წლებში ცერვიკალური სკრინინგი ჩაუტარდა 1,8 მილიონ ქალს. აღნიშნულ კოჰორტაში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე შედარებული იქნა ანალოგიურ მაჩვენებელთან იმ ქალთა ჯგუფისათვის, რომლებსაც სკრინინგი საერთოდ არ ჩატარებიათ. კვლევის შედეგად დადგენილი იქნა, რომ სკრინინგის დახმარებით აღნიშნულ პერიოდში შესაძლებელი იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით 3,829 ქალის გარდაცვალების თავიდან აცილება, რამაც შეადგინა 15,589 QALYs.

Dickinson J.A. et al. (2012) გამოაქვეყნეს კანადის კიბოს რეგისტრის მონაცემები, რომელთა მიხედვით 1952 წლიდან 2006 წლისათვის საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე ყოველ 100,000 ქალზე შემცირდა 13,5-დან 2,2-მდე. სკრინინგის დახმარებით კანადაში 1972 წლიდან 2006 წლამდე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე შემცირდა 58%-ით, ხოლო ამ მიზეზით გარდაცვალების - 71%-ით.

Uphoff T. (2014) მონაცემებით ქალების იმ კონტიგენტში, რომლებსაც ცერვიკალური სკრინინგის დროს დაუდგინდათ CIN2, CIN3 ან CIS, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ამ პათოლოგიებმა განიცადეს სპონტანური რეგრესია ან პაციენტებს ჩაუტარდათ სათანადო მკურნალობა, მითუმეტეს თუ პაციენტები არიან 65 წელზე მატი ასაკის, რეკომენდებულია რეგულარულად Pap ტესტირების ჩატარება შემდგომი 20 წლის განმავლობაში.

Taylor R.J. et al. (2001) შეისწავლეს ავსტრალიის კიბოს რეგისტრის მონაცემების მიხედვით ახალ ჩრდილოეთ უელსში 1997-1996 წლებში ჩატარებული ცერვიკალური სკრინინგის შედეგად 2006 წლისათვის მოსალოდნელი ცვლილებები ავადობისა და სიკვდილიანობის სიხშირეებში. ავტორების მონაცემებით, ცერვიკალური სკრინინგის დახმარებით შესაძლებელი გახდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 3,440 და ამ მიზეზით გარდაცვალების- 1610 შემთხვევის თავიდან აცილება.

Saslow D. et al. (2012) გაანალიზეს ამერიკის კიბოს (ACS), კოლპოსკოპიისა და ცერვიკალური პათოლოგიის (ASCC), კლინიკური პათოლოგიის (ASCP) საზოგადოებების მიერ მოწოდებული საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისა და ადრეული გამოვლინების პროგრამის გაიდლაინი, რომლის მიზანს ინვაზიური კიბოს გამოვლენის გარდა წარმოადგენს კიბოს წინა დაავადების (CIN3) და პრეინვაზიური კიბოს (CIS) დიაგნოსტიკა. ავტორები ასკვნიან, რომ CIN3-ს დიაგნოსტიკის შემთხვევებში შემცირებულია პაციენტების რისკი მომდევნო სკრინინგ-ტესტირებამდე განუვითარდეთ საშვილოსნოს ყელის პრე- და ინვაზიური კარცინომა.

Goldie S.J. et al. (2001) საკუთარი კვლევით მიღებული შედეგების საფუძველზე იძლევიან რეკომენდაციას, რომ HIV ინფიცირებული პაციენტების ყოველწლიური ციტოლოგიური სკრინინგი, 3-5 წლიანი ინტერვალის ნაცვლად, წარმოადგენს არსებული გაიდლაინის ხარჯთ-ეფექტიან მოდიფიკაციას.

Burger E.A. et al. (2012) შეადარეს ახალგაზრდა ასაკის ქალებში მხოლოდ Pap ტესტით სკრინინგისა და 31 და მეტი წლის ასაკის ქალების პირველადი HPV-ს

ტესტირებაზე დაფუძნებული ცერვიკალური სკრინინგის ხარჯთ-ეფექტიანობა. ავტორების მიერ მიღებული მონაცემების მიხედვით, არავაკცინირებულ ქალებში 34 წლის ასკიდან პირველადი HPV-ს ტესტირებაზე დაფუძნებული ცერვიკალური სკრინინგის ორგანიზება ყოველ 4 წელიწადში 1-ჯერ წარმოადგენს სკრინინგის უფრო ხარჯთ-ეფექტიან მოდელს (სიცოცხლის ყოველ წელს იზოგება 83,000 USD). ასევე ხარჯთ-ეფექტიანია ვაკცინირებული ქალების ცერვიკალური სკრინინგი 6 წელიწადში 1-ჯერ.

Lönnberg S. et al. (2012) მონაცემებით, Pap ტესტირებით მომდევნო 5 წლის განმავლობაში 50%-ით კლებულობს საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი. სკრინინგის ადეკვატურად ჩატარების შემთხვევაში მისი ეფექტიანობა შეადგენს 100%-ს.

Andrae B. et al. (2012) მონაცემების მიხედვით ქალები, რომელიც რეგულარულად მონაწილეობენ ცერვიკალურ სკრინინგში, გააჩნიათ ამ დაავადებით გარდაცვალების უფრო დაბალი რისკი, ვინაიდან მათ შემთხვევებში ეს დაავადება ვლინდება უფრო ადრეულ სტადიაში.

ზოგიერთ კვლევაში ნაჩვენებია, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი იზრდება ადრეულ ასაკში მშობიარობისა და გვიან ასაკში აბორტების დროს, განსაკუთრებით ქალთა იმ კონტიგენტში, რომლებიც მკურნალობენ ცერვიკალური კიბოს წინა დაავადებების გამო (Albrechtsen S. et al., 2008; Castañon A. et al., 2012).

McCredie M.R.E. et al. (2008) მონაცემების მიხედვით, კიბოსწინა დაავადებების 1/3, სათანადო მკურნალობის გარეშე, პროგრსირებს და გარკვეული პერიოდის შემდეგ გარდაიქმნება საშვილოსნოს ყელის კიბოდ.

Lönnberg S. (2014) მონაცემებით, ნორვეგიაში სკრინინგის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს 25-დან 69-მდე წლის ასაკის 478,000 ქალი, რომელთაგან 424,000 ქალს 2012 წელს გაეგზავნა სკრინინგის გავლის შესახსენებელი შეტყობინება. სულ 2012 წელს რეგისტრირებული იქნა 403,000 Pap ტესტი და 11,000 HPV ტესტი.

ნორვეგიის ცერვიკალური კიბოს სკრინინგის პროგრამის (NCCSP, 2014) მიხედვით, სკრინინგის დახმარებით ნორვეგიაში შესაძლებელი გახდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის 25%-ით, და ამ მიზეზით გარდაცვალების- 50%-ით შემცირება.

1.3.2. HPV იმუნიზაცია

საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის შემცირებისა და პრევენციის მიზნით აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი (NCI, 2011) რეკომენდაციას აძლევს FDA-ს მიერ

მოწონებული ორი ვაქცინის, Gardasil და Cervarix, გამოყენებას. Gardasil გამიზნულია HPV-ს 6, 11, 16 და 18 გენოტიპების, ხოლო Cervarix - 16 და 18 გენოტიპების საწინააღმდეგოდ (HPV-ს 16 და 18 გენოტიპებთან არის დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების 70%). Gardasil-ს გამოყენება FDA-ს მიერ მოწონებულია 9-დან 26-მდე წლის ასაკის გოგონებისა და ბიჭების ვაქცინაციის დროს, ხოლო Cervarix - 9-დან 25-მდე წლის ასაკის გოგონების ვაქცინაციის დროს.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC, 2012) რეკომენდაციის მიხედვით ვაქცინაცია უნდა ჩატარდეს სექსუალური აქტივობის დაწყებამდე, ანუ სანამ ადგილი ექნება HPV ინფექციის ექსპოზიციას. ამასთან ერთად, თუ პერსონა ინფიცირებულია HPV-ს რომელიმე გენოტიპით, ვაქცინაციას შეუძლია მისი დაცვა HPV-ს სხვა გენოტიპებით ინფიცირებისაგან.

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ავსტრალიის ინსტიტუტის (2014) მონაცემებით ავსტრალიაში იმუნოზაციის ნაციონალური პროგრამის მიხედვით HPV ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გოგონებს უტარდებათ 12 წლის ასაკიდან. 2013 წლიდან იმუნოზაციის პროგრამაში დამატებული იქნა ბიჭების ვაქცინაცია.

ვაქცინაციის მონიტორინგის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, 2007 წლიდან ავსტრალიაში ხორციელდება ვაქცინაციით მოცვისა და მისი პოპულაციაზე ზემოქმედების კონტროლი. HPV-ის 4 გენოტიპის შემცველი ვაქცინით ხორციელდება 12-18 წლის ასაკის მოსწავლე გოგონების იმუნოზაცია. ავსტრალიაში ვაქცინაციით სამიზნე ჯგუფების მოცვა შეადგენს 65-75% (Fairley C. et al., 2002).

Cuzick J. et al. (2010) მოსაზრებით HPV ვაქცინაციის ეფექტიანობის კვლევის საუკეთესო მაგალითია დიდ ბრიტანეთში მიმდინარე იმუნოზაციის პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2008 წლიდან. 2010 წლისათვის ვაქცინაცია ჩატარდა 12-13 წლის 1,4 მილიონ გოგონას. 2009 წლიდან ვაქცინაციას დაექვემდებარენ 18 და მეტი წლის ასაკის გოგონები. მათ 6 თვიანი პერიოდულობით უტარდებათ 3-ჯერადი ინექცია. 12-13 წლის გოგონების 80%-იანი მოცვის პირობებში, ამ პროექტით მოსალოდნელია ინვაზიური კიბოს 63%-ით, CIN3-ის- 51%-ით და 30 წლამდე ციტოლოგიურად ცერვიკალური ატიპიური ცვლილებების 27%-ით შემცირება.

1.4. რეზიუმე: საშვილოსნოს ყელის კიბოს ტვირთი და მისი პრევენციის მენეჯმენტი

GLOBOCAN/IARC (2013) მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 530,000 და ამ მიზეზით გარდაცვალების 275,000 შემთხვევა. ამასთან ერთად, ამ ლოკალიზაციის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების 50%-ზე მეტი აღინიშნება ინდოეთში, ჩინეთში, ბრაზილიაში, ბანგლადეშში და ნიგერიაში. გარდაცვალების პიკი აღინიშნება აფრიკაში, კერძოდ ზამბიაში, სადაც ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად რეგისტრირდება ამ მიზეზით გარდაცვალების 38,6 შემთხვევა.

Martin C.M. et al. (2009) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბო მსოფლიოში წარმოადგენს ქალებში კიბოს მეორე ძირითად ლოკალიზაციას, ძუძუს კიბოს შემდეგ, ხოლო განვითარებად ქვეყნებში გარდაცვალების წამყვან მიზეზს.

WHO-ის მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში ყოველ 100,000 ქალზე რეგისტრირებული იქნა ცერვიკალური კიბოთი ავადობის 17,7 და ამ მიზეზით გარდაცვალების- 9,7 შემთხვევა, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად, 9,1 და 3,1 შემთხვევა (Barot S., 2012).

IARC-ის მონაცემებით, 2012 წელს მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევათა 84% რეგისტრირებული იქნა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მაღალი დონეები აღინიშნა აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში, ხოლო ყველაზე დაბალი- ჩრდილოეთი ამერიკის ქვეყნებში- აშშ-სა და კანადაში, ასევე -ოკეანეაში. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ყველაზე მაღალი დონე (პიკი) აღინიშნა მალავიში (ASR=75,9), ხოლო ყველაზე დაბალი დონე- 37,8 - რეგისტრირებული იქნა ფიჯიში (Ferlay J. et al., 2013).

Ferlay J. et al. (2012) მონაცემების მიხედვით მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოს უკავია რანგით 7-ე ადგილი ქალთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში. 2012 წელს მსოფლიოში რეგისტრირებული იქნა ამ ლოკალიზაციის კიბოს 527,000 ახალი შემთხვევა, რამაც შეადგინა ქალთა ონკოლოგიური ავადობის 8%.

Gattoc L. et al. (2014) და Priore G. (2008) მონაცემებით მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდება 500,000 და ამ მიზეზით გარდაიცვლება 240,000 ქალი. ამასთან ერთად, დაავადების დიაგნოსტიკა შემთხვევათა 80%-ში ხდება მხოლოდ შორსწასულ სტადიებში.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC, 2013) მონაცემებით, 2012 წელს აშშ-ში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 11,818 და გარდაცვალების 3,939 შემთხვევა. აშშ-ში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ყველაზე მაღალი სიხშირე აღინიშნა ესპანელ ქალებში, შემდეგ აფროამერიკელებში, ამერიკელ ინდიელებში და აზიელ ქალებში. საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების ყველაზე მაღალი სიხშირე აღინიშნა აფროამერიკელ ქალებში.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2014) მონაცემებით, 2013 წელს აშშ-ში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 12,360 და გარდაცვალების 4,020 შემთხვევა. ამ ლოკალიზაციის კიბოს შემთხვევათა 20% გამოვლენილი იქნა 65 წლის ასაკის ქალებში, მაშინ როდესაც 20 წლის ასაკამდე ძალზე იშვიათად რეგისტრირდება.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) და კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (NCI, 2010) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბო წარმოადგენს აშშ-ს ქალთა მოსახლეობის კიბოთი გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. კერძოდ, მას უკავია მე-3-ე სარანგო ადგილი გინეკოლოგიური კიბოს მიზეზით გარდაცვალების და მე-14-ე აშშ-ს ქალთა მოსახლეობის ყველა ლოკალიზაციის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში.

Ferlay J. et al. (2013) მონაცემების მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს უკავია რანგით 6-ე ადგილი ქალთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში ევროპაში. 2012 წელს ევროპაში რეგისტრირებული იქნა ამ ლოკალიზაციის კიბოს 58,400 ახალი შემთხვევა, რამაც შეადგინა ქალთა ონკოლოგიური ავადობის 4%. წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით ევროპაში ამ ავადობის პიკი დაფიქსირდა რუმინეთში, ხოლო ყველაზე დაბალი დონე- შვეიცარიაში.

Napolitano M. et al. (2012) საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკის ფაქტორებს წარმოადგენენ მრავალი მშობიარობა და სექსუალური გზით გადამდები ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორცაა HIV და ადამიანის პაპილომის ვირუსი (HPV), რომლებიც ზრდიან საშვილოსნოს ყელის უჯრედების მგრძნობელობასა და რეგენერაციას.

Frumovitz M. (2013) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარება შემთხვევათა 99,7%-ში დაკავშირებულია ადამიანის პაპილომის ვირუსთან (HPV). ამავე დროს, ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარების რისკი 15-ჯერ მაღალია ქალების HPV-ის

16 და 18 გენოტიპებით ინფიცირების შემთხვევაში, რომელთა ექსპოზიციასთან არის დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს ყველა შემთხვევის დაახლოებით 70%-ის განვითარება.

ამ მოსაზრებას ადასტურებენ Gattoc L. et al. (2014). მათი მონაცემებით, დღეისათვის ცნობილი HPV-ის 100-ზე მეტი გენოტიპიდან 40 იწვევს გენიტალური ორგანოების ინფიცირებას. გადადის რა სექსუალური გზით, HPV წარმოადგენს საშვილოსნოს ყელის ინვაზიური და ინტრაეპითელიალური კარცინომის გამომწვევ მიზეზს. ამავე დროს საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევათა 70% დაკავშირებულია HPV-ის 16 და 18 გენოტიპებთან.

Holschneider M. (2013) მონაცემებით, ადამიანის პაპილომის ვირუსის (HPV) ინფექცია ძირითადად წარმავალია, იგი ელიმინირდება ორგანიზმიდან. ადამიანის ორგანიზმი 2-5 წლის განმავლობაში შემთხვევათა 90%-ში თავისუფლდება ამ ინფექციისაგან. ადამიანის პაპილომის ვირუსის (HPV) ორგანიზმში პერსისტენციის რისკის ფაქტორს წარმოადგენს ქალის ასაკი. 55 და მეტი წლის ასაკის ქალებში HPV-ის პერსისტენციის რისკი შეადგენს 50%-ს, ხოლო 25 და ნაკლები წლის ასაკის ქალებში- მხოლოდ 20%-ს.

WHO/ICO (2010) მონაცემებით დიდ ბრიტანეთში HPV ინფექციის პრევალენტობა შეადგენს 8,9%-ს, მათ შორის HPV-ს 16 და/ან 18 გენოტიპების პრევალენტობა- 2,4%.

დიდი ბრიტანეთის ნაციონალური ჯანრთელობის სერვისის (NHS, 2008) მონაცემებით, 2008 წლიდან ინგლისში დაწყებული იქნა 12-13 წლის გოგონების ვაქცინაცია HPV-ს 16 და 18 გენოტიპებზე.

Kohli M. et al. (2007) მონაცემებით 12 წლის ასაკის გოგონების ვაქცინაცია HPV-ს 16 და 18 გენოტიპებზე 76%-ით ამცირებს მათ რისკს ცხოვრების განმავლობაში დაავადდნენ საშვილოსნოს ყელის კიბოთი.

Cox J.T. (2006), რომლის მონაცემებით HPV-ით ინფიცირების სიხშირე იზრდება სექსუალური პარტნიორების რაოდენობის ზრდის პარალელურად.

Winer R.L. et al. (2006) მოსაზრებით, ვინაიდან HPV ძირითადად გადადის სექსუალური კონტაქტით, სექსუალური აქტივობისაგან თავშეკავება ან მონოგამია ამცირებს ამ ვირუსისაგან ინფიცირების რისკს. პრეზერვატივების რეგულარულად გამოყენების შემთხვევაში 70%-ით მცირდება HPV-ით ინფიცირების საშიშროება.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) მონაცემებით, სრულ ვადიანი ორსულობა და მშობიარობა 17 და ნაკლები წლის ასაკში, 25 და მეტი წლის ასაკთან

შედარებით, ცხოვრების შემდგომ ეტაპზე ორჯერ ზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკს. ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარება ასევე იზრდება 3 ან მეტი სრულ ვადიანი ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში, რაც დაკავშირებულია ქალის ორგანიზმში ჰორმონალურ ცვლილებებთან და იმუნური რეაქტიულობის დაქვეითებასთან.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) მონაცემებით, იმ ქალებში, რომელთა დედა ან დაავადებული იყო საშვილოსნოს ყელის კიბოთი, 2-3-ჯერ მაღალია ამ დაავადების განვითარების რისკი, იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც არ ჰქონიათ ანალოგიური ოჯახური ისტორია.

Frumovitz M. (2013) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის ფაქტორებს აგრეთვე წარმოადგენენ სექსუალური აქტიურობის ადრეულ ასაკში დაწყება, სექსუალური პარტნიორების დიდი რაოდენობა და მათი ხშირი ცვლა, მაღალი რისკის მქონე სექსუალური პარტნიორებთან კავშირი და დაუცველი სექსუალური კავშირი. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (NCI, 2013) მონაცემებიც.

Muñoz N. et al. (2002) მონაცემებით ქალებში, რომლებიც ინფიცირებული არიან HPV-ით და 7 ან მეტჯერ არიან ნამშობიარები, აქვთ 4-ჯერ მაღალი რისკი განუვითარდეთ საშვილოსნოს ყელის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, ვიდრე არანამშობიარებ ქალებს, ასევე - 2-3-ჯერ მაღალი რისკი, ვიდრე 1-2-ჯერ ნამშობიარებ ქალებს.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC, 2013) მონაცემებით ბოლო 40 წლის განმავლობაში აშშ-ში აღინიშნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების კლების სტატისტიკურად სარწმუნო ტენდენცია, რაც დაკავშირებულია Pap-ტესტით სკრინინგული გამოკვლევებით აშშ-ში ქალთა პოპულაციის დიდი კონტიგენტის მოცვასთან.

საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირის კლების ტენდენციას და მის კავშირს Pap ტესტის საშუალებით ქალთა მოსახლეობის სკრინინგთან ადასტურებს ამერიკის კიბოს საზოგადოებაც (ACS, 2013).

Willoughby B.J. et al. (2006) მონაცემებით განვითარებულ ქვეყნებში განხორციელებული სკრინინგის შედეგად ბოლო 50 წლის განმავლობაში 75%-ით შემცირდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა.

Lofters A.K. et al. (2011) მონაცემებით, ონტარიოში ცერვიკალური სკრინინგით ქალთა მოსახლეობის მოცვის ოდენობა შეესაბამება 20-69 წლის ასაკის მიზნობრივ ჯგუფის 85%-ს.

ონტარიოს კიბოს რეგისტრის (OCR, 2012) მონაცემებით, 1981 წლიდან 2009 წლამდე დროის პერიოდში, სკრინინგის შედეგად ონტარიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე შემცირდა 38%-ით, ხოლო ამ მიზეზით გარდაცვალების სიხშირე- 59%-ით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამების გაიდლაინები განსხვავებულია სხვადასვა ქვეყანაში. მაგალითად, 2012 წელს აშშ-ში სკრინინგი ტარდებოდა USPSTF-ისა და ACS/ASCCP/ASCP-ის მიერ რეკომენდებული 2 გაიდლაინის მიხედვით (USPSTF, 2012; Saslow D. et al., 2011).

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ავსტრალიის ინსტიტუტის (2014) მონაცემებით ავსტრალიის ნაციონალური ცერვიკალური სკრინინგ-პროგრამის მიხედვით რეკომენდებულია ყველა სექსუალურად აქტიური ქალის Pap ტესტით სკრინინგი 18-დან 70-მდე წლის ასაკობრივ პერიოდში. ამასთან ერთად 18-20 წლის ქალბატონებს Pap ტესტირება უტარდებათ 2 წელიწადში 1-ჯერ, ხოლო შემდგომ ასაკობრივ პერიოდში, სექსუალური აქტივობის მიხედვით, 1 ან 2 წელიწადში 1-ჯერ.

Sasieni P. et al. (2009) მონაცემებით ინგლისში 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყველა ქალს 3-5 წელიწადში 1-ჯერ უტარდება სკრინინგი. ბოლო 20 წლის განმავლობაში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევების განახევრება. მაგალითად, 1988 წელს, ანუ როდესაც ამოქმედდა სკრინინგის პროგრამა, 4,132 ქალს დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზი, ანუ წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლის მიხედვით ყოველ 100,000 ქალზე ამ წელს დაავადდა 16,2 ქალი. შედარებისთვის, 2008 წელს გამოვლენილი იქნა ამ ლოკალიზაციის კიბოს სულ 2,369 შემთხვევა, ანუ წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლის მიხედვით ყოველ 100,000 ქალზე ამ წელს დაავადდა 8,3 ქალი.

Rositch A.F. (2014) გაანალიზა რა SEER-ის 2000-2009 წლების მონაცემები მივიდა დასკვნამდე, რომ ქალებში 65 წლის ასაკის შემდეგ, ე.ი. იმ ასაკობრივ პერიოდში, როდესაც გაიდლაინის მიხედვით აღარ ტარდება ცერვიკალური სკრინინგი, მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე იზიარებენ Rositch A.F. et al. (20014).

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ Nowak R. et al. (2014). მათი კვლევის მიხედვით 2000-2009 წლებში აშშ-ში ყველა ასაკის ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადდებოდა 18,6 ქალი, მაშინ როდესაც ასაკობრივი ჯგუფში 65-69 წელი - რეგისტრირდებოდა ამ დაავადების 27,4 ახალი შემთხვევა.

Herdman C. et al. (2000) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას მრავალი წლის განმავლობაში წინუსწრებენ კიბოსწინა და ფონური დაავადებები, რომელთა მკურნალობით შესაძლებელია კიბოს თავიდან აცილება. აქედან გამომდინარე, საშვილოსნოს ყელის კიბო პოტენციურად მიეკუთვნება კიბოს პრევენტაბელურ ფორმას, რომლით ავადობისა და გარდაცვალების სიხშირის შემცირება შესაძლებელია სკრინინგის საშუალებით.

Gold M.A. (2006) მიხედვით, ცერვიკალური Pap ტესტირება, რომელიც სკრინინგის დროს ტარდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნან პაციენტები ცერვიკალური კიბოსწინა დაავადებებით, ჩაუტარდეთ მკურნალობა და აწარმოონ მათზე follow-up დაკვირვება. განვითარებულ ქვეყნებში Pap ტესტით სკრინინგით მიღწეულია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 70-80%-ით შემცირება.

Nanda K. et al. (2000) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის CIN 2/3-ს დროს Pap ტესტის მგრძობელობა მერყეობს 47%-დან 62%-მდე, ხოლო სპეციფიკურობა - 60%-დან 85%-მდე.

ფინეთის კიბოს რეგისტრის (2014) მონაცემებით, ფინეთში ცერვიკალური სკრინინგის პროგრამის ეფექტიანად მოქმედების შედეგად საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების სიხშირემ დაიკლო 80%-ით.

Dickinson J.A. et al. (2012) გამოაქვეყნეს კანადის კიბოს რეგისტრის მონაცემები, რომელთა მიხედვით 1952 წლიდან 2006 წლისათვის საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე ყოველ 100,000 ქალზე შემცირდა 13,5-დან 2,2-მდე. სკრინინგის დახმარებით კანადაში 1972 წლიდან 2006 წლამდე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე შემცირდა 58%-ით, ხოლო ამ მიზეზით გარდაცვალების - 71%-ით.

Saslow D. et al. (2012) გაანალიზეს ამერიკის კიბოს (ACS), კოლპოსკოპიისა და ცერვიკალური პათოლოგიის (ASCC), კლინიკური პათოლოგიის (ASCP) საზოგადოებების მიერ მოწოდებული საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისა და ადრეული გამოვლინების პროგრამის გაიდლაინი, რომლის მიზანს ინვაზიური კიბოს გამოვლენის გარდა წარმოადგენს კიბოს წინა დაავადების (CIN3) და პრეინვაზიური კიბოს (CIS)

დიაგნოსტიკა. ავტორები ასკვნა, რომ CIN3-ს დიაგნოსტიკის შემთხვევებში შემცირებულია პაციენტების რისკი მომდევნო სკრინინგ-ტესტირებამდე განუვითარდეთ საშვილოსნოს ყელის პრე- და ინვაზიური კარცინომა.

Goldie S.J. et al. (2001) საკუთარი კვლევით მიღებული შედეგების საფუძველზე იძლევიან რეკომენდაციას, რომ HIV ინფიცირებული პაციენტების ყოველწლიური ციტოლოგიური სკრინინგი, 3-5 წლიანი ინტერვალის ნაცვლად, წარმოადგენს არსებული გაიდლაინის ხარჯთ-ეფექტიან მოდიფიკაციას.

Andrae B. et al. (2012) მონაცემების მიხედვით ქალები, რომელიც რეგულარულად მონაწილეობენ ცერვიკალურ სკრინინგში, გააჩნიათ ამ დაავადებით გარდაცვალების უფრო დაბალი რისკი, ვინაიდან მათ შემთხვევებში ეს დაავადება ვლინდება უფრო ადრეულ სტადიაში.

ნორვეგიის ცერვიკალური კიბოს სკრინინგის პროგრამის (NCCSP, 2014) მიხედვით, სკრინინგის დახმარებით ნორვეგიაში შესაძლებელი გახდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის 25%-ით, და ამ მიზეზით გარდაცვალების- 50%-ით შემცირება.

საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის შემცირებისა და პრევენციის მიზნით აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი (NCI, 2011) რეკომენდაციას აძლევს FDA-ს მიერ მოწონებული ორი ვაქცინის, Gardasil და Cervarix, გამოყენებას. Gardasil გამიზნულია HPV-ს 6, 11, 16 და 18 გენოტიპების, ხოლო Cervarix - 16 და 18 გენოტიპების საწინააღმდეგოდ (HPV-ს 16 და 18 გენოტიპებთან არის დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების 70%). Gardasil-ს გამოყენება FDA-ს მიერ მოწონებულია 9-დან 26-მდე წლის ასაკის გოგონებისა და ბიჭების ვაქცინაციის დროს, ხოლო Cervarix - 9-დან 25-მდე წლის ასაკის გოგონების ვაქცინაციის დროს.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC, 2012) რეკომენდაციის მიხედვით ვაქცინაცია უნდა ჩატარდეს სექსუალური აქტივობის დაწყებამდე, ანუ სანამ ადგილი ექნება HPV ინფექციის ექსპოზიციას. ამასთან ერთად, თუ პერსონა ინფიცირებულია HPV-ს რომელიმე გენოტიპით, ვაქცინაციას შეუძლია მისი დაცვა HPV-ს სხვა გენოტიპებით ინფიცირებისაგან.

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ავსტრალიის ინსტიტუტის (2014) მონაცემებით ავსტრალიაში იმუნოზაციის ნაციონალური პროგრამის მიხედვით HPV ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გოგონებს უტარდებათ 12 წლის ასაკიდან. 2013 წლიდან იმუნოზაციის პროგრამაში დამატებული იქნა ბიჭების ვაქცინაცია.

ვაქცინაციის მონიტორინგის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, 2007 წლიდან ავსტრალიაში ხორციელდება ვაქცინაციით მოცვისა და მისი პოპულაციაზე ზემოქმედების კონტროლი. HPV-ის 4 გენოტიპის შემცველი ვაქცინით ხორციელდება 12-18 წლის ასაკის მოსწავლე გოგონების იმუნიზაცია. ავსტრალიაში ვაქცინაციით სამიზნე ჯგუფების მოცვა შეადგენს 65-75% (Fairley C. et al., 2002).

Cuzick J. et al. (2010) მოსაზრებით HPV ვაქცინაციის ეფექტიანობის კვლევის საუკეთესო მაგალითია დიდ ბრიტანეთში მიმდინარე იმუნიზაციის პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2008 წლიდან. 2010 წლისათვის ვაქცინაცია ჩატარდა 12-13 წლის 1,4 მილიონ გოგონას. 2009 წლიდან ვაქცინაციას დაექვემდებარენ 18 და მეტი წლის ასაკის გოგონები. მათ 6 თვიანი პერიოდულობით უტარდებათ 3-ჯერადი ინექცია. 12-13 წლის გოგონების 80%-იანი მოცვის პირობებში, ამ პროექტით მოსალოდნელია ინვაზიური კიბოს 63%-ით, CIN3-ის- 51%-ით და 30 წლამდე ციტოლოგიურად ცერვიკალური ატიპიური ცვლილებების 27%-ით შემცირება.

თავი II

კვლევის მასალები და მეთოდები

2.1. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და სიკვდილიანობის კვლევის მასალები და მეთოდები

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის რეგისტრიდან მიღებული იქნა მონაცემები ქ.თბილისში 1998-2012 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 3838 შემთხვევის შესახებ.

ცხრილი 1. 1998-2012 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ყოველწლიურად რეგისტრირებული შემთხვევების აბსოლუტური რაოდენობები 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

i	ასაკობრივი ჯგუფები	წლები														
		1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
1	0-4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2	5-9	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
3	10-14	0	0	0	0	0	0	0	0	1	1	0	0	0	0	0
4	15-19	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
5	20-24	1	1	0	0	0	0	1	0	0	0	0	1	0	0	0
6	25-29	5	4	1	3	7	3	5	4	4	1	1	1	1	0	0
7	30-34	15	3	7	7	14	15	12	8	10	5	7	6	3	1	1
8	35-39	21	20	16	22	13	18	21	27	19	21	17	22	17	1	0
9	40-44	29	32	21	37	37	34	44	43	32	30	38	32	310	1	3
10	45-49	45	36	33	45	34	40	43	62	56	47	48	44	44	3	9
11	50-54	28	33	28	39	43	50	53	54	64	42	37	47	37	7	4
12	55-59	22	23	27	17	30	33	31	46	53	31	40	29	39	4	3
13	60-64	27	27	14	30	30	39	32	27	27	16	33	40	30	6	10
14	65-69	26	25	15	19	23	18	34	30	20	25	21	26	22	4	3
15	70-74	24	15	10	14	13	22	22	17	25	21	11	20	17	2	0
16	75-79	8	9	7	11	10	8	9	12	13	5	6	6	9	2	0
17	80-84	1	2	5	5	3	2	1	2	3	4	4	7	8	1	0
18	85+	0	2	2	0	2	3	0	2	0	4	4	0	3	0	0
სულ		252	232	186	249	259	285	308	334	327	253	267	281	540	32	33

წყარო: (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი)

აღსანიშნავია, რომ 2008-2010 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ რეგისტრირდებოდა საშვილოსნოს ყელის კიბოს 543 შემთხვევა, ხოლო 2011-2012 წლებში რეგისტრირებული იქნა სულ 65 შემთხვევა. 2011-2012 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევების მკვეთრი შემცირება (რეგისტრირებული იქნა

მოსალოდნელი შემთხვევების მხოლოდ 6%) დაკავშირებულია ბოლო წლებში კიბოს რეგისტრაციის სისტემის მოშლასთან. აღნიშნულის გამო 2011-2012 წლების მონაცემები ამოღებული იქნა დესკრიპტული კვლევიდან და გაანალიზებული იქნა მხოლოდ 13 წლის (1998-2010) მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული იქნა მონაცემები ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობაში 2003-2012 წლებში კიბოს მიზეზით გარდაცვალების 7927 შემთხვევის შესახებ, 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (იხ. ცხრილი 2). აღსანიშნავია, რომ ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობაში 2003-2007 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ რეგისტრირდებოდა კიბოს მიზეზით გარდაცვალების 1088 შემთხვევა, ხოლო 2008-2012 წლებში- 497 შემთხვევა. 2008-2012 წლებში კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების მკვეთრი შემცირება (რეგისტრირებული იქნა მოსალოდნელი შემთხვევების მხოლოდ 45,7%) დაკავშირებულია კიბოს რეგისტრაციის სისტემის მოშლასთან. აღნიშნულის გამო 2008-2012 წლების მონაცემები ამოღებული იქნა დესკრიპტული კვლევიდან და გაანალიზებული იქნა მხოლოდ 5 წლის (2003-2007) მონაცემები.

მონაცემთა ბაზები დამუშავდა სტატისტიკურად პროგრამული პაკეტის Microsoft Excel-ის გამოყენებით. ჩატარდა დესკრიპტული ეპიდემიოლოგიური კვლევა კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (IARC, Lyon), კიბოს რეგისტრთა საერთაშორისო ასოციაციის (IACR, Lyon), კიბოს რეგისტრთა ევროპის ქსელის (ENCR, Lyon) და კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირის (UICC, Geneva) მიერ რეკომენდებული მეთოდიკით (Ahlbom A., Norell S., 1984; Boyle P., Parkin D.M., 1988; Gardis L., 2004; Fos P., Fine D., 2005; Agostina R. et al., 2006; Bhopal R., 2008).

ცხრილი 2. ქ.თბილისში 2003-2012 წლებში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევები 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: აბსოლუტური რაოდენობები

#	ასაკობრივი ჯგუფი	წლები	
		2003-2007	2008-2012
1	0-4	8	1
2	5-9	8	0
3	10-14	11	3
4	15-19	16	8
5	20-24	22	18
6	25-29	32	16
7	30-34	56	28

8	35-39	99	49
9	40-44	247	89
10	45-49	362	150
11	50-54	438	198
12	55-59	598	254
13	60-64	537	263
14	65-69	945	303
15	70-74	733	420
16	75-79	732	322
17	80-84	415	246
18	85+	181	119
სულ		5,440	2,487

წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

დესკრიპტული ეპიდემიოლოგიური კვლევისას გამოყენებული იქნა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით თბილისის მოსახლეობის განაწილება სქესისა და 5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

i	ასაკობრივი ჯგუფები	ორივე სქესი		მამაკაცი		ქალი	
		აბს. რაოდ.	%	აბს. რაოდ.	%	აბს. რაოდ.	%
1	0-4	56995	5.268	29540	2.731	27455	2.538
2	5-9	67961	6.282	35060	3.241	32901	3.041
3	10-14	85583	7.911	43236	3.997	42347	3.914
4	15-19	88144	8.148	44096	4.076	44048	4.072
5	20-24	88092	8.143	41816	3.865	46276	4.278
ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში ($TASR_{25-64}$) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 31,6 ქალი (95% CI $TASR_{25-64}=30,4-32,8$), საშვილოსნოს ყელის- 5,7 (95% CI $TASR_{25-64}=5,1-6,2$), საშვილოსნოს ტანის- 7,7 (95% CI $TASR_{25-64}=7,1-8,3$), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 5,1 (95% CI $TASR_{25-64}=4,6-5,6$).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში ($TASR_{30-64}$) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 37,9 ქალი (95% CI $TASR_{30-64}=36,7-39,2$), საშვილოსნოს ყელის- 6,8 (95% CI $TASR_{30-64}=6,3-7,3$), საშვილოსნოს ტანის- 9,3 (95% CI $TASR_{30-64}=8,7-9,9$), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 6,2 (95% CI $TASR_{30-64}=5,7-6,7$).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 30-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში ($TASR_{30-69}$) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 44,6 ქალი (95% CI $TASR_{30-69}=43,3-46,0$), საშვილოსნოს ყელის- 7,3 (95% CI $TASR_{30-69}=6,8-7,8$), საშვილოსნოს ტანის- 11,4 (95% CI $TASR_{30-69}=10,7-12,1$), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 6,7 (95% CI $TASR_{30-69}=6,2-7,3$).

შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით აღინიშნება შემდეგი ტენდენცია: 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,3-ჯერ და 1,4-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, შესაბამისად, 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში.

პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი იყო 1,1-ჯერ მაღალი, მაშინ როდესაც ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი წელი- 1,7-ჯერ მაღალი. შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების 52,7% რეგისტრირებული იქნა ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი, ხოლო 63,3%- ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი. ანუ, სხვა სიტყვებით, 25-59 წელიას ასაკობრივ პერიოდთან შედარებით აკობრივ პერიოდში 30-64 წელი 10,6%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შეფარდებითი სიხშირე.

ამდენად, 2003-2007 წლებში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სულ 150 შემთხვევა, ანუ დედაქალაქის ყოველ 100,000 ქალ მოსახლეზე უხეში მაჩვენებლის მიხედვით ამ მიზეზით ყოველწლიურად გარდაიცვლება 5,1, წლოვანების მიხედვით სტანდარტიზებული მაჩვენებლის (ASR) მიხედვით- 3,6 (95% CI ASR=3,0-4,2), ხოლო წლოვანებით კორექტირებული (თბილისის სტანდარტი) გარდაცვალების მაჩვენებლის (AAR) მიხედვით- 4,7. კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ეკავა რანგით VI ადგილი და მისი ხვედრითი წონა შეადგენდა 2,9%-ს. თბილისელ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციურმა რისკმა დაბადებიდან 65 წლის ასაკამდე შეადგინა 0,3% (95% CI CR₀₋₆₄=0,3-0,3), ხოლო 75 წლის ასაკამდე- 0,4% (95% CI CR₀₋₇₄=0,4-0,5). შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით 25-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 5,3 ქალი (95% CI TASR₂₅₋₅₉=4,8-5,8), 25-64 წლის - 5,7 ქალი (95% CI TASR₂₅₋₆₄=5,1-6,2), 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში -6,8 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₄=6,3-7,3), ხოლო 30-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში- 7,3 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₉=6,8-7,8). შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით აღინიშნება შემდეგი ტენდენცია: 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,3-ჯერ და 1,4-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, შესაბამისად, 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში.

3.3 რეზიუმე: ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა და სიკვდილიანობა

ქ.თბილისში 13 წლის განმავლობაში (1998-2010) რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოს 3773 შემთხვევა.

უხეში მაჩვენებლების მიხედვით ქ.თბილისში შესწავლილი პერიოდის განმავლობაში (1998-2010) ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 48,9 ქალი. ამასთან ერთად, უხეში მაჩვენებლების მიხედვით დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2003-2007 და 2008-2010 წლებში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 39,7%000-დან, შესაბამისად, 50,8%000-მდე და 61,1%000-მდე.

აღსანიშნავია, რომ სხვა პერიოდებისაგან განსხვავებით 2008-2010 წლებში აღინიშნა ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის მკვეთრი მატება ასაკობრივ ჯგუფში 40-44 წელი, რომელშიც რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის პიკური დონე- 255.8%000.

წლოვანებით სტანდარტიზებული (მსოფლიო) მაჩვენებლების (ASR) მიხედვით ქ.თბილისში 13 წლის განმავლობაში (1998-2010) ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 37,0 ქალი (95% CI ASR, 35,8-38,2).

ამასთან ერთად, წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (ASR) მიხედვით დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2003-2007 და 2008-2010 წლებში, აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 29,9%000-დან (95% CI ASR, 28,2-31,6), შესაბამისად, 38,8%000-მდე (95% CI ASR, 36,8-40,8) და 45,7%000-მდე (95% CI ASR, 43,0-48,5).

1988-1992 წლების შემდეგ 10-10 წლიანი ინტერვალებით შედარებისას აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მკვეთრი მატება (1988-1992: ASR=9,6; 95% CI=8,8-10,4; 1998-2002: ASR=29,9; 95% CI=28,2-31,6). 1998-2002 წლებიდან უმნიშვნელოდ იკლო ამ ლოკალიზაციის მატების ტემპმა და 2008-2010 წლებამდე კვლავ გაგრძელდა ამ დაავადების გავრცელების სიხშირის მატების ტენდენცია (2008-2010: ASR=45,7; 95% CI=43,0-48,5).

წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით (თბილისის სტანდარტი, 2002) ქ.თბილისში 13 წლის განმავლობაში (1998-2010) ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად საშუალოდ ავადდებოდა 46,5 ქალი.

ამასთან ერთად, წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2003-2007 და 2008-2010 წლებში, აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 37,6%000-დან 48,2%000—მდე და 58,4%000—მდე.

თბილისში მცხოვრებ ქალთა მოსახლეობის საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კუმულაციური რისკის მაჩვენებელმა (CR_{0-74}) 13 წლის განმავლობაში (1998-2010) შეადგინა 3,9% (95% CI $CR_{0-74}=3,8-4,0$). ამასთან ერთად დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით (3,2%-დან), აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების კუმულაციური რისკის მაჩვენებლის (CR_{0-74}) მატება 2003-2007 წლებში 4,2%- მდე (95% CI $CR_{0-74}=4,1-4,4$), ხოლო 2008-2010 წლებში- 4,6%-მდე (95% CI $CR_{0-74}=4,5-4,9$).

თბილისში მცხოვრებ ქალთა მოსახლეობის საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კუმულაციური რისკის მაჩვენებელმა (CR_{0-64}) 13 წლის განმავლობაში (1998-2010) შეადგინა 3,0% (95% CI $CR_{0-74}=3,0-3,1$). ამასთან ერთად დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით (2,4%-დან), აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების კუმულაციური რისკის მაჩვენებლის (CR_{0-64}) მატება 2003-2007 წლებში 3,2%- მდე (95% CI $CR_{0-74}=3,1-3,4$), ხოლო 2008-2010 წლებში- 3,8%-მდე (95% CI $CR_{0-74}=3,7-4,0$).

SRR-ს მიხედვით, 1998-2002 წლებში 1988-1992 წლებთან შედარებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა გაიზარდა 3-ჯერ ($SRR=3,1$; 95% CI $SRR =2,8-3,5$), ხოლო 2008-2010 წლებში 1988-1992 წლებთან შედარებით - 4,8-ჯერ ($SRR=4,8$; 95% CI $SRR=4,1-5,6$). აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა 2008-2010 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით, თუმცა შემცირდა ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის ტენდენცია ($SRR=1,5$; 95% CI $SRR=1,4-1,6$).

SRR-ს მიხედვით, 1998-2002 წლებთან შედარებით საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა 2003-2007 წლებში გაიზარდა 1,3-ჯერ ($SRR=1,3$; 95% CI $SRR =1,3-1,3$), ხოლო 2008-2010 წლებში - 1,5-ჯერ ($SRR=1,5$; 95% CI $SRR=1,4-1,6$).

SIR-ს მიხედვით, 2003-2007 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა გაიზარდა 27,9%-ით ($SIR =127,9$; 95% CI $SIR=121,5-134,4$), ხოლო 2008-2010 წლებში 2003-2007 წლებთან შედარებით - 20,3%-ით ($SIR =120,3$; 95% CI $SIR=113,2-127,7$). სულ 13 წლიან პერიოდში (2008-2010 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით) ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობამ მოიმატა 53,9%-ით ($SIR =153,9$; 95% CI $SIR=144,8-163,1$).

შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR₂₅₋₆₄) მიხედვით ქ.თბილისში 13 წლის განმავლობაში (1998-2010) 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 69,0 ქალი (95% CI TASR₂₅₋₆₄=68,0-70,1).

ამასთან ერთად, შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR₂₅₋₆₄) მიხედვით დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2008-2010 წლებში, 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 55,4‰-დან (95% CI TASR₂₅₋₆₄=53,7-57,0) 72,8‰-მდე (95% CI TASR₂₅₋₆₄ =70,5-74,1) და 89,0‰-მდე (95% CI TASR₂₅₋₆₄ =86,5-91,5).

შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) მიხედვით 1998-2010 წლებში ქ.თბილისში ყველა შესწავლილ ასაკობრივ პერიოდში (25-59, 25-64, 30-64, 30-69) აღინიშნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის მატების დინამიკა. ამავე დროს, 1998-დან 2010 წლამდე დროის ყველა პერიოდში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის იდენტური დონეები 25-59 და 25-64, ასევე- 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში. ამასთან ერთად საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე 25-59 და 25-64 წლებთან შედარებით მატულობს ასაკობრივ პერიოდებში 30-64 და 30-69 წლები.

შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით, როგორც ბოლო 3 წლის (2008-2010), ისე მთელი შესასწავლი 13 წლიანი პერიოდის (1998-2010) მანძილზე, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,2-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში, მაშინ როდესაც 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში რეგისტრირდება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის იდენტური სიხშირეები.

პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი იყო 2,4-ჯერ მაღალი, მაშინ როდესაც ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი წელი- 3,9-ჯერ მაღალი. ანუ, სხვა სიტყვებით, 30-64 წლის ასაკობრივი პერიოდის ქალებში, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით, პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1,6-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე.

შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევების 71,0% დიაგნოსტირებული იქნა

ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი, ხოლო 79,8%- ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი. ანუ, სხვა სიტყვებით, 25-59 წელის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შეფარდებითი სიხშირე.

2003-2007 წლებში ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობაში კიბოს მიზეზით გარდაცვალების 5440 შემთხვევის ანალიზის შედეგად ვერიფიცირებული იქნა კიბოს 10 ძირითადი ლოკალიზაცია.

წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) მიხედვით დადგენილი იქნა 2003-2007 წლებში თბილისში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურა, განისაზღვრა 10 ძირითადი ლოკალიზაცია, მათი სიხშირეები 100,000 ქალზე (%000) და სარანგო ადგილები: I- ძუძუ (ASR=22,7%000), II- კუჭი (ASR=7,4%000), III- ფილტვი (ASR=6,7%000), IV- საშვილოსნოს ტანი (ASR=6,0%000), V- სწორი ნაწლავი (ASR=3,8%000), VI- საშვილოსნოს ყელი (ASR=3,6%000), VII- საკვერცხე (ASR=3,5%000), VIII- ლეიკემია (ASR=3,4%000), IX- ღვიძლი (ASR=3,4%000), X- პანკრეასი (ASR=2,7%000).

თბილისში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში სიკვდილის შემთხვევების თითქმის 1/3 (29%) მოდის რეპროდუქციული სისტემის ორგანოებზე, მათ შორის: ძუძუზე- 18,4%, საშვილოსნოს ტანზე- 4,9%, საშვილოსნოს ყელზე- 2,9%, საკვერცხეზე- 2,8%.

წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით 2003-2007 წლებში თბილისში 100,000 ქალზე 29,9 გარდაიცვალა ძუძუს, 4,7- საშვილოსნოს ყელის, 8,0- საშვილოსნოს ტანის და 4,6- საკვერცხეების კიბოს მიზეზით .

2003-2007 წლებში ქ.თბილისში ქალთა მოსახლეობის 65 წლის ასაკამდე ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციური რისკი (CR_{0-64}) შეადგინა 1,5% (95% CI $CR_{0-74}=1,5-1,6$), საშვილოსნოს ყელის- 0,3% (95% CI $CR_{0-64}=0,3-0,3$), საშვილოსნოს ტანის- 0,4% (95% CI $CR_{0-64}=0,4-0,5$), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 0,2% (95% CI $CR_{0-64}=0,2-0,3$).

2003-2007 წლებში ქ.თბილისში ქალთა მოსახლეობის 75 წლის ასაკამდე ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციური რისკი (CR_{0-74}) შეადგინა 2,6% (95% CI $CR_{0-74}=2,5-2,7$), საშვილოსნოს ყელის- 0,4% (95% CI $CR_{0-74}=2,5-2,7$), საშვილოსნოს ტანის- 0,7% (95% CI $CR_{0-74}=0,7-0,8$), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 0,4% (95% CI $CR_{0-74}=0,4-0,4$).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 25-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₂₅₋₅₉) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 28,2 ქალი (95% CI TASR₂₅₋₅₉=27,0-29,3), საშვილოსნოს ყელის- 5,3 (95% CI TASR₂₅₋₅₉=4,8-5,8), საშვილოსნოს ტანის- 6,7 (95% CI TASR₂₅₋₅₉=6,1-7,2), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 4,5 (95% CI TASR₂₅₋₅₉=4,0-5,0).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₂₅₋₆₄) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 31,6 ქალი (95% CI TASR₂₅₋₆₄=30,4-32,8), საშვილოსნოს ყელის- 5,7 (95% CI TASR₂₅₋₆₄=5,1-6,2), საშვილოსნოს ტანის- 7,7 (95% CI TASR₂₅₋₆₄=7,1-8,3), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 5,1 (95% CI TASR₂₅₋₆₄=4,6-5,6).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₃₀₋₆₄) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 37,9 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₄=36,7-39,2), საშვილოსნოს ყელის- 6,8 (95% CI TASR₃₀₋₆₄=6,3-7,3), საშვილოსნოს ტანის- 9,3 (95% CI TASR₃₀₋₆₄=8,7-9,9), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 6,2 (95% CI TASR₃₀₋₆₄=5,7-6,7).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 30-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₃₀₋₆₉) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 44,6 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₉=43,3-46,0), საშვილოსნოს ყელის- 7,3 (95% CI TASR₃₀₋₆₉=6,8-7,8), საშვილოსნოს ტანის- 11,4 (95% CI TASR₃₀₋₆₉=10,7-12,1), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 6,7 (95% CI TASR₃₀₋₆₉=6,2-7,3).

შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით აღინიშნება შემდეგი ტენდენცია: 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,3-ჯერ და 1,4-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, შესაბამისად, 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში.

ამდენად, 2003-2007 წლებში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სულ 150 შემთხვევა, ანუ დედაქალაქის ყოველ 100,000 ქალ მოსახლეზე უხეში მაჩვენებლის მიხედვით ამ მიზეზით ყოველწლიურად გარდაიცვლება 5,1, წლოვანების მიხედვით სტანდარტიზებული მაჩვენებლის (ASR) მიხედვით- 3,6 (95% CI ASR=3,0-4,2), ხოლო წლოვანებით კორექტირებული (თბილისის სტანდარტი) გარდაცვალების მაჩვენებლის (AAR) მიხედვით- 4,7. კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ეკავა რანგით VI ადგილი და მისი ხვედრითი წონა შეადგენდა 2,9%-ს. თბილისელ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით

გარდაცვალების კუმულაციურმა რისკმა დაბადებიდან 65 წლის ასაკამდე შეადგინა 0,3% (95% CI $CR_{0-64}=0,3-0,3$), ხოლო 75 წლის ასაკამდე - 0,4% (95% CI $CR_{0-74}=0,4-0,5$). შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით 25-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 5,3 ქალი (95% CI $TASR_{25-59}=4,8-5,8$), 25-64 წლის - 5,7 ქალი (95% CI $TASR_{25-64}=5,1-6,2$), 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 6,8 ქალი (95% CI $TASR_{30-64}=6,3-7,3$), ხოლო 30-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 7,3 ქალი (95% CI $TASR_{30-69}=6,8-7,8$). შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (TSRR) მიხედვით აღინიშნება შემდეგი ტენდენცია: 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,3-ჯერ და 1,4-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, შესაბამისად, 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში.

თავი IV


ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის შეფასება

4.1. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის შედეგები სკრინინგის ეროვნული ცენტრის 2013 წლის მონაცემებით

2008 წლიდან ქ.თბილისში სკრინინგის ეროვნული ცენტრის, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის, ქ.თბილისის ონკოლოგიური დისპანსერიისა და აკად. ო.ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრის ბაზებზე ერთდროულად ამოქმედდა ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა. მომდევნო წლებში პროგრამის განხორციელებაში სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების სტატუსით ასევე ჩაერთვევენ სხვა სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრები.

2008-2014 წლებში ქ.თბილისში განხორციელებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში PAP ტესტით გამოკვლეული ქალების საერთო რაოდენობა ნაჩვენებია მე-19 ნახატზე.

ნახატი 19. სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში ქ.თბილისში PAP ტესტით გამოკვლეული ქალების საერთო რაოდენობა




წყარო: (სკრინინგის ეროვნული ცენტრი)

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში გამოკვლევა ჩატარდა სულ 81,973 ქალს. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-დიაგნოსტიკური გაიდლაინი მოიცავდა შემდეგ გამოკვლევებს:

გინეკოლოგიური გასინჯვას (PV et PR), Pap ტესტს, საჭიროების შემთხვევაში კოლპოსკოპიას, ბიოფსიასა და ჰისტოლოგიურ კვლევას.

სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში ქ.თბილისში კოლპოსკოპიით გამოკვლეული ქალების საერთო რაოდენობა ნაჩვენებია მე-20 ნახატზე. აღნიშნულ პერიოდში კოლპოსკოპიით სულ გამოკვლეული იქნა 14,015 ქალი.


ნახატი 20. სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში ქ.თბილისში კოლპოსკოპიით გამოკვლეული ქალების საერთო რაოდენობა



წყარო: (სკრინინგის ეროვნული ცენტრი)


ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის შეფასების მიზნით გაანალიზებული იქნა სკრინინგის ეროვნული ცენტრის 2013 წლის მონაცემები (იხ. ნახატები 21 და 22).

ნახატი 21. სკრინინგის ეროვნული ცენტრის მიერ 2013 წელს ქ.თბილისში PAP ტესტით გამოკვლეული ქალების საერთო რაოდენობა ასაკის მიხედვით



წყარო: (სკრინინგის ეროვნული ცენტრი)

ნახატი 22. სკრინინგის ეროვნული ცენტრის მიერ 2013 წელს ქ.თბილისში PAP ტესტით გამოკვლეული ქალების ხვედრითი წონა ასაკის მიხედვით



წყარო: (კვლევის მასალები)

2013 წელს ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი სულ ჩაუტარდა 13584 ქალს, მათ შორის 7416 (54,6%) ქალს- სკრინინგის ეროვნული ცენტრის მიერ. ამდენად სავსებით ვალიდურად ჩაითვალა ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის შეფასება სკრინინგის ეროვნული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით. 22-ე ნახატზე ნაჩვენებია სკრინინგის ეროვნული ცენტრის მიერ 2013 წელს ქ.თბილისში PAP ტესტით გამოკვლეული ქალების ხვედრითი წონა ასაკის მიხედვით.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული თბილისელი ქალების სკრინინგ-დიაგნოსტიკის შედეგები ასაკის მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში #62.

ცხრილი 62. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული თბილისელი ქალების სკრინინგ-დიაგნოსტიკის შედეგები ასაკის მიხედვით

ასაკი	აბს. რ-ბა	კლინიკური დიაგნოზი			
		ნორმა	ატიპია, მსუბუქი და საშუალო ხარისხის დისპლაზია (CIN 1, CIN2)	კიბოს წინა დაავადებები (მძიმე დისპლაზია -CIN3 და CIS)	კიბო
25-29	541	509	27	4	1
30-34	749	686	54	7	2
35-39	827	745	61	13	8


40-44	1506	1383	93	21	9
45-49	1426	1325	75	15	11
50-54	1244	1189	43	8	4
55-59	932	886	34	4	8
60-64	191	181	7	1	2
სულ	7,416	6,904	394	73	45

წყარო: (კვლევის მასალები)

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული 7,416 ქალიდან 45 შემთხვევაში გამოვლენილი იქნა საშვილოსნოს ყელის კიბო, 73 შემთხვევაში- საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზია (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომა (CIS).

საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობამ სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე 2013 წელს შეადინა 9,8%. საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობის მაღალი დონეები აღინიშნა 35-49 წლის ასაკის ქალებში (იხ. ნახატი 23).

ნახატი 23. საშვილოსნოს ყელის კიბოს წინა დაავადებების (CIN3/CIS) პრევალენტობა ქ.თბილისში 2013 წელს Pap სკრინინგს დაქვემდებარებულ ყოველ 1,000 ქალზე (%0) ასაკის მიხედვით




წყარო: (კვლევის მასალები)

საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობამ სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე 2013 წელს შეადინა 6,1%. საშვილოსნოს ყელის კიბოს


პრევალენტობის პიკური დონე (10,5%) აღინიშნა 60-64 წლის ასაკის ქალებში (იხ. ნახატი 24).

ნახატი 24. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობა ქ.თბილისში 2013 წელს Pap სკრინინგს დაქვემდებარებულ ყოველ 1,000 ქალზე (%0) ასაკის მიხედვით



წყარო: (კვლევის მასალები)


ნახატი 25. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების კლინიკური სტადიების ხვედრითი წონები



წყარო: (კვლევის მასალები)


სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს 45 შემთხვევის უდიდეს უმრავლესობაში (82%) დაავადება დიაგნოსტირებული იქნა I კლინიკურ სტადიაში (იხ. ნახატი 25).

ნახატი 26. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევები ასაკის მიხედვით



წყარო: (კვლევის მასალები)

ნახატი 27. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევები სტადიებისა და ასაკის მიხედვით



წყარო: (კვლევის მასალები)

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების კლინიკურ სტადიების რაოდენობრივი განაწილება ასაკის მიხედვით ნაჩვენებია ნახატიებზე #26 და #27.

4.2. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ტესტების ეფექტიანობის შეფასება

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის დიაგნოსტიკური ღირებულების შეფასების მიზნით სკრინინგის ეროვნული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილი იქნა გინეკოლოგიური გასინჯვის, Pap ტესტის, კოლპოსკოპიისა და Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის შემდეგი მაჩვენებლები: ტესტის მგრძობელობის კოეფიციენტი, ტესტის სპეციფიურობის კოეფიციენტი, ტესტის პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტი, ტესტის ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტი, ტესტის ფასეულობის კოეფიციენტი.

ტესტის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის შეფასების დროს თითოეული გამოკვლევის შედეგი შედარებული იქნა საბოლოო კლინიკურ დიაგნოზთან, რომელიც ყოველი კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში დასმული იქნა კომპლექსური გამოკვლევის საფუძველზე. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-დიაგნოსტიკური გაიდლაინი მოიცავდა შემდეგ გამოკვლევებს: გინეკოლოგიური გასინჯვას (გასინჯვას სარკეებით და PV et PR), Pap ტესტს, საჭიროების შემთხვევაში კოლპოსკოპიას, ბიოფსიასა და ჰისტოლოგიურ კვლევას.

საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის გამოლენილი შემთხვევების დროს გინეკოლოგიური გასინჯვის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან ნაჩვენებია ცხრილში #63.

ცხრილი 63. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს გინეკოლოგიური გასინჯვის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან


გინეკოლოგიური გასინჯვის შედეგები	კლინიკური დიაგნოზი		სულ
	კიბო/ CIS	ნორმა	
კიბო/ CIS	53	1	54
ნორმა	65	7297	7362
სულ	118	7298	7416
$\chi^2= 3240; p<0,001$			

წყარო: (კვლევის მასალები)

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული 7,416 ქალიდან 118 პაციენტს დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ს დიაგნოზი, მათ შორის 53 შემთხვევაში დადასტურდა გინეკოლოგიური გასინჯვითაც. 7,362 ქალის გინეკოლოგიური გასინჯვის საფუძველზე საშვილოსნოს ყელის პათოლოგია არ ყოფილა დადგენილი, მათ შორის საშვილოსნოს ყელის CIS-ს 65 შემთხვევაში. ანუ, სხვა სიტყვებით, გინეკოლოგიური გასინჯვის დროს შემთხვევათა 0,9%-ში აღგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 54-დან 1 შემთხვევაში (1,9%) - ჰიპერდიაგნოსტიკას.

გინეკოლოგიური გასინჯვის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის კოეფიციენტები ნაჩვენებია ნახატზე #28. გინეკოლოგიური გასინჯვის მგრძობელობამ შეადგინა 44.9%, სპეციფიურობამ - 99.99%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა - 98.1%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -99.1%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა - 99.1%.

ნახატი 28. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს გინეკოლოგიური გასინჯვის ეფექტიანობის შეფასება



წყარო: (კვლევის მასალები)

საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის გამოლენილი შემთხვევების დროს Pap ტესტის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან ნაჩვენებია ცხრილში #64.

ცხრილი 64. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს Pap ტესტის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან


Pap ტესტის შედეგები	კლინიკური დიაგნოზი		სულ
	კიბო/ CIS	ნორმა	
კიბო/ CIS	101	5	106
ნორმა	17	7293	7310
სულ	118	7298	7416
$\chi^2= 6030; p,0,001$			

წყარო: (კვლევის მასალები)

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული 7,416 ქალიდან 118 პაციენტს დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ს დიაგნოზი, მათ შორის 101 შემთხვევაში დადასტურდა Pap ტესტით. 7,310 ქალის Pap ტესტის საფუძველზე საშვილოსნოს ყელის პათოლოგია არ ყოფილა დადგენილი, მათ შორის საშვილოსნოს ყელის CIS-ს 17 შემთხვევაში. ანუ, სხვა სიტყვებით, Pap ტესტით შემთხვევათა 0,2%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 106-დან 5 შემთხვევაში (4,7%)- ჰიპერდიაგნოსტიკას.

Pap ტესტის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის კოეფიციენტები ნაჩვენებია ნახატზე #29. Pap ტესტის მგრძნობელობამ შეადგინა 85.6%, სპეციფიურობამ - 99.9%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -95.3%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -99.8%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა- 99.7%.

ნახატი 29. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს Pap ტესტის ეფექტიანობის შეფასება



წყარო: (კვლევის მასალები)

საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის გამოლენილი შემთხვევების დროს კოლპოსკოპიის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან ნაჩვენებია ცხრილში #65.


ცხრილი 65. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს კოლპოსკოპიის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან

კოლპოსკოპიის შედეგები	კლინიკური დიაგნოზი		სულ
	კიბო/ CIS	ნორმა	
კიბო/ CIS	108	3	111
ნორმა	10	1254	1264
სულ	118	1257	1375
$\chi^2=625 ; p<0,001$			

წყარო: (კვლევის მასალები)

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს კოლპოსკოპიური გამოკვლევა ჩატარდა 1,375 ქალს. საშვილოსნოს ყელის კიბოსა და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) 118 შემთხვევიდან დიაგნოზი კოლპოსკოპიით დაუდასტურდა 108 პაციენტს. 1,264 ქალიდან კოლპოსკოპიის საფუძველზე საშვილოსნოს ყელის პათოლოგია არ ყოფილა დადგენილი 10 შემთხვევაში. ანუ, სხვა სიტყვებით, კოლპოსკოპიით შემთხვევათა 0,8%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 111-დან 3 შემთხვევაში (2,7%)- ჰიპერდიაგნოსტიკას.

ნახატი 30. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს კოლპოსკოპიის ეფექტიანობის შეფასება




წყარო: (კვლევის მასალები)

კოლპოსკოპიის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის კოეფიციენტები ნაჩვენებია ნახატზე #30. კოლპოსკოპიის მგრძობელობამ შეადგინა 91.5%, სპეციფიურობამ - 99.8%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -97.3%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -99.2%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა - 99.1%.

გინეკოლოგიური გასინჯვის, Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოსა და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) დიაგნოსტიკებისას ეს გამოკვლევები ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავება მგრძობელობის კოეფიციენტების მიხედვით (იხ. ნახატი 31).

ნახატი 31. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს გინეკოლოგიური გასინჯვის, Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის მგრძობელობის შედარება



წყარო: (კვლევის მასალები)

ცნობილია, რომ ტესტის მგრძობელობა ასახავს იმ ალბათობას, რომლის დროსაც დაავადებული პირები გამოკვლევის საფუძველზე კლასიფიცირებული იქნებიან როგორც ავადმყოფები. გინეკოლოგის გასინჯვასთან შედარებით (44.9%) მგრძობელობის მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა Pap ტესტირებისა (85,6%) და კოლპოსკოპიური გამოკვლევის (92,3%) შემთხვევებში. დამატებით, Pap ტესტის, როგორც სკრინინგის ძირითადი ტესტის განსაკუთრებული დადებითი მახასიათებელია ჰიპოდიაგნოსტიკის დაბალი მაჩვენებელი (0.2%). Pap ტესტის ეფექტიანობა მკვეთრად იზრდება კოლპოსკოპიური გამოკვლევის შემდგომი, დაზიანებული უბნიდან მიზნობრივად აღებული ნაცხების, ციტოლოგიური კვლევიით.


დამატებით, Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის შედეგები 162 შემთხვევაში შედარებული იქნა კლინიკურ დიაგნოზებთან და შესწავლილი იქნა აღნიშნული კომბინაციის დიაგნოსტიკური ეფექტიანობა (იხ. ცხრილი 66 და ნახატი 32).

ცხრილი 66. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის შედეგების შედარება კლინიკურ დიაგნოზებთან

Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაცია	კლინიკური დიაგნოზი		სულ
	კიბო/ CIS	ნორმა	
კიბო/ CIS	26	2	28
ნორმა	1	133	134
სულ	27	135	162
$\chi^2=141$; $p<0,001$			

წყარო: (კვლევის მასალები)

ნახატი 32. სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ის შემთხვევების დროს Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის ეფექტიანობის შეფასება



წყარო: (კვლევის მასალები)

Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის მგრძობელობამ შეადგინა 96.3%, სპეციფიურობამ - 98.5%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა - 92.9%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა - 83.3%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა - 98.1%.

4.3. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ეკონომიკური შეფასება

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ეკონომიკური შეფასების მიზნით შესწავლილი იქნა სკრინინგის პროგრამის 5-წლიანი ციკლის დროს სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული გამოკვლევების აბსოლიტური რაოდენობები (იხ. ცხრილი 67).

ცხრილი 67. 2010-2014 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული გამოკვლევების აბსოლიტური რაოდენობები

წლები	გინეკოლოგიური გასინჯვა+ Pap ტესტი	კოლპოსკოპია+ბიოფსია+ჰისტოლოგია
2010	14,552	2,094
2011	12,130	2,224
2012	13,151	2,499
2013	13,584	2,712
2014	12,907	2,618
სულ აბს. რ-ბა	66,324	12,147
%	100	18

წყარო: (კვლევის მასალები)

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2010-2014 წლებში გინეკოლოგიური გასინჯვა და Pap ტესტი ჩატარდა 66,324 ქალს, ხოლო კოლპოსკოპია, ნიშნული ბიფსია და მორფოლოგიური კვლევა 12,147 ქალს, ანუ სკრინინგს დაქვემდებარებული ქალების 18%-ს.

2010-2014 წლებში ქ.თბილისში განხორციელებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება ნაჩვენებია ცხრილში #68-ში.

ცხრილი 68. 2010-2014 წლებში ქ.თბილისში განხორციელებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	2010-2014	ფასი (ლარი)	
	25-59 წლის ასაკში აბს. რ-ბა	ტესტის 1 ერთეული	სულ (ლარი)
გინეკოლოგიური გასინჯვა+Pap ტესტი	66,324	21.80	1,445,863
კოლპოსკოპია+ბიოფსია+ჰისტოლოგია	12,147	45.70	555,118
სულ			2,000,981

წყარო: (კვლევის მასალები)

2010-2014 წლებში ქ.თბილისში 66,324 ქალისათვის ჩატარებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულებამ სულ შეადგინა 2,000,981ლარი.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის რაოდენობამ 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში შეადგინა 290,007, ხოლო 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში - 280,883 ქალი.

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის დღემდე მოქმედი გაიდლაინის მიხედვით სკრინინგი უტარდებათ ქალებს 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში. ანუ 2010-2014 წლებში განხორციელდა სკრინინგს დაქვემდებარებული მიზნობრივი კონტიგენტის მხოლოდ 23%-ის ტესტირება. ამავე დროს, სკრინინგის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მიზნობრივი ჯგუფის სულ ცოტა 50%-ით მოცვა, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში, როგორც ცნობელია, იწყება საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების შემცირება.

ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით გამომანგარიშებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება 25-59 წლის და 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდებში მიზნობრივი ჯგუფების 50%-იანი და 70%-იანი მოცვის შემთხვევებში (იხ. ცხრილები 69 და 70).

ცხრილი 69. ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი და 70%-იანი მოცვის შემთხვევებში

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	მიზნობრივი ჯგუფი: 25-59 წლის ასაკობრივი პერიოდი	მიზნობრივი ჯგუფის რაოდენობა სკრინინგით მოცვის მიხედვით		ღირებულება (ლარი)	სულ		
		50%	70%		ტესტის 1 ერთ.	მიზნობრივი ჯგუფის მოცვა	
						50%	70%
გინეკოლოგიური გასინჯვა+ Pap ტესტი		145,004	203,005	21.80	3,161,087	4,425,509	
კოლპოსკოპია+ ბიოფსია+ ჰისტოლოგია		26,101	36,541	45.70	1,192,799	1,669,918	
სულ	290,007				4,353,886	6,095,427	

წყარო: (კვლევის მასალები)


ცხრილი 70. ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი და 70%-იანი მოცვის შემთხვევებში

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	მიზნობრივი ჯგუფი: 30-64 წლის ასაკობრივი პერიოდი	მიზნობრივი ჯგუფის რაოდენობა სკრინინგით მოცვის მიხედვით		ტესტის 1 ერთ.	ღირებულება (ლარი)		
		50%	70%		სულ		
					მიზნობრივი ჯგუფის მოცვა		
		50%	70%			50%	70%
გინეკოლოგიური გასინჯვა+ Pap ტესტი		140,442	196,618	21.80	3,061,636	4,286,272	
კოლპოსკოპია+ ბიოფსია+ ჰისტოლოგია		25,279	35,391	45.70	1,155,272	1,617,380	
სულ	280,883				4,216,908	5,903,652	

წყარო: (კვლევის მასალები)

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელია სკრინინგს დაქვემდებარებული ქალების რაოდენობის ეტაპობრივად 2-3-ჯერ გაზრდა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ერთის მხრივ საჭიროა ქალთა მოსახლეობის განათლება და მათში პერიოდულად სკრინინგის გავლის ჩვევის გამომუშავება, მეორეს მხრივ კი - პროგრამის დაფინანსების გაზრდა. 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევებში სკრინინგ-პროგრამის ღირებულება შეადგენს 4,353,886 ლარს, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- 6,095,427 ლარს. 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევებში სკრინინგ-პროგრამის ღირებულება შეადგენს 4,216,908 ლარს, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- 5,903,652 ლარს.

ნახატი 33. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება 25-59 წლის და 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდებში მიზნობრივი ჯგუფების 50%-იანი და 70%-იანი მოცვის შემთხვევებში



წყარო: (კვლევის მასალები)

როგორც ეს ჩვენს მიერ ჩატარებულმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანითა და 25-59 წლის ასაკობრივი პერიოდის ნაცვლად სკრინინგის 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება, ერთის მხრივ გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობას (30-64 ასაკობრივ პერიოდში, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით, პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1,2-ჯერ, ხოლო შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე; სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობის პიკური დონე (10,5%0) აღინიშნა 60-64 წლის ასაკის ქალებში), ხოლო მეორეს მხრივ- შეამცირებს გასაწევ ხარჯებს: მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევაში ~ 137,000 ლარით, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- ~ 192,000 ლარით. ანუ, სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანა და მისი 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება მნიშვნელოვნად გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ხარჯთ-ეფექტიანობას.

4.4. რეზიუმე: ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის შეფასება

2008 წლიდან ქ.თბილისში ამოქმედდა ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში გამოკვლევა ჩატარდა სულ 81,973 ქალს. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-დიაგნოსტიკური გაიდლაინი მოიცავდა შემდეგ გამოკვლევებს: გინეკოლოგიური გასინჯვას (PV et PR), Pap ტესტს, საჭიროების შემთხვევაში კოლპოსკოპიას, ბიოფსიასა და ჰისტოლოგიურ კვლევას.

სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში ქ.თბილისში კოლპოსკოპიით სულ გამოკვლეული იქნა 14,015 ქალი.

2013 წელს ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი სულ ჩატარდა 13,584 ქალს, მათ შორის 7,416 (54,6%) ქალს- სკრინინგის ეროვნული ცენტრის მიერ. ამდენად სავსებით ვალიდურად ჩაითვა ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის შეფასება სკრინინგის ეროვნული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული 7,416 ქალიდან 45 შემთხვევაში გამოვლენილი იქნა საშვილოსნოს ყელის კიბო, ხოლო 73 შემთხვევაში- საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზია (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომა (CIS).

საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობამ სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე 2013 წელს შეადინა 9,8‰. საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობის მაღალი დონეები აღინიშნა 35-49 წლის ასაკის ქალებში.

საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობამ სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე 2013 წელს შეადინა 6,1‰. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობის პიკური დონე (10,5‰) აღინიშნა 60-64 წლის ასაკის ქალებში.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოვლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს 45 შემთხვევის უდიდეს უმრავლესობაში (82%) დაავადება დიაგნოსტირებული იქნა I კლინიკურ სტადიაში.

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის დიაგნოსტიკური ღირებულების შეფასების მიზნით სკრინინგის ეროვნული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილი იქნა გინეკოლოგიური გასინჯვის, Pap ტესტის, კოლპოსკოპიისა და Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

ტესტის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის შეფასების დროს თითოეული გამოკვლევის შედეგი შედარებული იქნა საბოლოო კლინიკურ დიაგნოზთან, რომელიც ყოველი კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში დასმული იქნა კომლექსური გამოკვლევის საფუძველზე. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-დიაგნოსტიკური გაიდლაინი მოიცავდა შემდეგ გამოკვლევებს: გინეკოლოგიური გასინჯვას (გასინჯვას სარკეებით და PV et PR), Pap ტესტს, საჭიროების შემთხვევაში კოლპოსკოპიას, ბიოფსიასა და ჰისტოლოგიურ კვლევას.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული 7,416 ქალიდან 118 პაციენტს დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ს დიაგნოზი, მათ შორის 53 შემთხვევაში დადასტურდა გინეკოლოგიური გასინჯვითაც. 7,362 ქალის გინეკოლოგიური გასინჯვის საფუძველზე საშვილოსნოს ყელის პათოლოგია არ ყოფილა დადგენილი, მათ შორის საშვილოსნოს ყელის CIS-ს 65 შემთხვევაში. ანუ, სხვა სიტყვებით, გინეკოლოგიური გასინჯვის დროს შემთხვევათა 0,9%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 54-დან 1 შემთხვევაში (1,9%) - ჰიპერდიაგნოსტიკას.

გინეკოლოგიური გასინჯვის მგრძობელობამ შეადგინა 44.9%, სპეციფიურობამ - 99.99%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -98.1%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -99.1%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა- 99.1%.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული 7,416 ქალიდან 118 პაციენტს დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ს დიაგნოზი, მათ შორის 101 შემთხვევაში დადასტურდა Pap ტესტით. 7,310 ქალის Pap ტესტის საფუძველზე საშვილოსნოს ყელის პათოლოგია არ ყოფილა დადგენილი, მათ შორის საშვილოსნოს ყელის CIS-ს 17 შემთხვევაში. ანუ, სხვა სიტყვებით, Pap ტესტით შემთხვევათა 0,2%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 106-დან 5 შემთხვევაში (4,7%) - ჰიპერდიაგნოსტიკას.

Pap ტესტის მგრძობელობამ შეადგინა 85.6%, სპეციფიურობამ - 99.9%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -95.3%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -99.8%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა - 99.7%.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს კოლპოსკოპიური გამოკვლევა ჩატარდა 1,375 ქალს. საშვილოსნოს ყელის კიბოსა და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) 118 შემთხვევიდან დიაგნოზი კოლპოსკოპიით დაუდასტურდა 108 პაციენტს. 1,264 ქალიდან კოლპოსკოპიის საფუძველზე საშვილოსნოს ყელის პათოლოგია არ ყოფილა დადგენილი 10 შემთხვევაში. ანუ, სხვა სიტყვებით, კოლპოსკოპიით შემთხვევათა 0,8%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 111-დან 3 შემთხვევაში (2,7%)- ჰიპერდიაგნოსტიკას.

კოლპოსკოპიის მგრძობელობამ შეადგინა 91.5%, სპეციფიურობამ - 99.8%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -97.3%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -99.2%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა - 99.1%.

გინეკოლოგიური გასინჯვის, Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოსა და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) დიაგნოსტიკისას ეს გამოკვლევები ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავება მგრძობელობის კოეფიციენტების მიხედვით.

ცნობილია, რომ ტესტის მგრძობელობა ასახავს იმ ალბათობას, რომლის დროსაც დაავადებული პირები გამოკვლევის საფუძველზე კლასიფიცირებული იქნებიან როგორც ავადმყოფები. გინეკოლოგის გასინჯვასთან შედარებით (44.9%) მგრძობელობის მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა Pap ტესტირებისა (85,6%) და კოლპოსკოპიური გამოკვლევის (92,3%) შემთხვევებში. დამატებით, Pap ტესტის, როგორც სკრინინგის ძირითადი ტესტის განსაკუთრებული დადებითი მახასიათებელია ჰიპოდიაგნოსტიკის დაბალი მაჩვენებელი (0.2%). Pap ტესტის ეფექტიანობა მკვეთრად იზრდება კოლპოსკოპიური გამოკვლევის შემდგომი, დაზიანებული უბნიდან დამიზნებულად აღებული ნაცხების, ციტოლოგიური კვლევიით.

დამატებით, Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის შედეგები 162 შემთხვევაში შედარებული იქნა კლინიკურ დიაგნოზებთან და შესწავლილი იქნა აღნიშნული კომბინაციის დიაგნოსტიკური ეფექტიანობა.

Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის მგრძობელობამ შეადგინა 96.3%, სპეციფიურობამ - 98.5%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -

92.9%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -83.3%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა - 98.1%.

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ეკონომიკური შეფასების მიზნით შესწავლილი იქნა სკრინინგის პროგრამის 5-წლიანი ციკლის დროს (2010-2014 წლებში) სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული გამოკვლევების აბსოლუტური რაოდენობები.

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2010-2014 წლებში გინეკოლოგიური გასინჯვა და Pap ტესტი ჩატარდა 66,324 ქალს, ხოლო კოლპოსკოპია, ნიშნული ბიფსია და მორფოლოგიური კვლევა 12,147 ქალს, ანუ სკრინინგს დაქვემდებარებული ქალების 18%-ს.

2010-2014 წლებში ქ.თბილისში 66,324 ქალისათვის ჩატარებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულებამ სულ შეადგინა 2,000,981 ლარი.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის რაოდენობამ 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში შეადგინა 290,007, ხოლო 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში - 280,883 ქალი.

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის დღემდე მოქმედი გაიდლაინის მიხედვით სკრინინგი უტარდებათ ქალებს 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში. ანუ 2010-2014 წლებში განხორციელდა სკრინინგს დაქვემდებარებული მიზნობრივი კონტიგენტის მხოლოდ 23%-ის ტესტირება. ამავე დროს, სკრინინგის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მიზნობრივი ჯგუფის სულ ცოტა 50%-ით მოცვა, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში, როგორც ცნობელია, იწყება საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების შემცირება.

ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით გამომანგარიშებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება 25-59 წლის და 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდებში მიზნობრივი ჯგუფების 50%-იანი და 70%-იანი მოცვის შემთხვევებში.

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელია სკრინინგს დაქვემდებარებული ქალების რაოდენობის ეტაპობრივად 2-3-ჯერ გაზრდა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ერთის მხრივ საჭიროა ქალთა მოსახლეობის განათლება და მათში პერიოდულად სკრინინგის გავლის ჩვევის გამომუშავება, მეორეს მხრივ კი - პროგრამის დაფინანსების გაზრდა. 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევებში სკრინინგ-

პროგრამის ღირებულება შეადგენს 4,353,886 ლარს, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- 6,095,427 ლარს. 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევებში სკრინინგ- პროგრამის ღირებულება შეადგენს 4,216,908 ლარს, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- 5,903,652 ლარს.

როგორც ეს ჩვენს მიერ ჩატარებულმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანითა და 25-59 წლის ასაკობრივი პერიოდის ნაცვლად სკრინინგის 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება, ერთის მხრივ გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობას (30-64 ასაკობრივ პერიოდში, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით, პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1,2-ჯერ, ხოლო შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე; სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობის პიკური დონე (10,5%0) აღინიშნა 60-64 წლის ასაკის ქალებში), ხოლო მეორეს მხრივ- შეამცირებს გასაწევ ხარჯებს: მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევაში ~ 137,000 ლარით, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- ~ 192,000 ლარით. ანუ, სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანა და მისი 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება მნიშვნელოვნად გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ხარჯთ-ეფექტიანობას.

თავი V

*ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-პროგრამის
მენეჯმენტის ეპიდემიოლოგიური შეფასება (რეზიუმე)*

GLOBOCAN/IARC (2013) მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 530,000 და ამ მიზეზით გარდაცვალებს 275,000 შემთხვევა. ამასთან ერთად, ამ ლოკალიზაციის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების 50%-ზე მეტი აღინიშნება ინდოეთში, ჩინეთში, ბრაზილიაში, ბანგლადეშში და ნიგერიაში. გარდაცვალების პიკი აღინიშნება აფრიკაში, კერძოდ ზამბიაში, სადაც ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად რეგისტრირდება ამ მიზეზით გარდაცვალების 38,6 შემთხვევა.

WHO-ის მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში ყოველ 100,000 ქალზე რეგისტრირებული იქნა ცერვიკალური კიბოთი ავადობის 17,7 და ამ მიზეზით გარდაცვალების- 9,7 შემთხვევა, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად, 9,1 და 3,1 შემთხვევა (Barot S., 2012).

IARC-ის მონაცემებით, 2012 წელს მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევათა 84% რეგისტრირებული იქნა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მაღალი დონეები აღინიშნა აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში, ხოლო ყველაზე დაბალი- ჩრდილოეთი ამერიკის ქვეყნებში- აშშ-სა და კანადაში, ასევე -ოკეანეაში. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის ყველაზე მაღალი დონე (პიკი) აღინიშნა მაღავიში (ASR=75,9), ხოლო ყველაზე დაბალი დონე- 37,8 - რეგისტრირებული იქნა ფიჯიში (Ferlay J. et al., 2013).

Ferlay J. et al. (2012) მონაცემების მიხედვით მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოს უკავია რანგით 7-ე ადგილი ქალთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში. 2012 წელს მსოფლიოში რეგისტრირებული იქნა ამ ლოკალიზაციის კიბოს 527,000 ახალი შემთხვევა, რამაც შეადგინა ქალთა ონკოლოგიური ავადობის 8%.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2014) მონაცემებით, 2013 წელს აშშ-ში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 12,360 და გარდაცვალების 4,020 შემთხვევა. ამ ლოკალიზაციის კიბოს შემთხვევათა 20% გამოვლენილი იქნა 65 წლის ასაკის ქალებში, მაშინ როდესაც 20 წლის ასაკამდე ძალზე იშვიათად რეგისტრირდება.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) და კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (NCI, 2010) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბო წარმოადგენს აშშ-ს ქალთა მოსახლეობის კიბოთი გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. კერძოდ, მას უკავია მე-3-ე სარანგო ადგილი გინეკოლოგიური კიბოს მიზეზით გარდაცვალების და მე-14-ე- აშშ-ს ქალთა მოსახლეობის ყველა ლოკალიზაციის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში.

Ferlay J. et al. (2013) მონაცემების მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს უკავია რანგით 6-ე ადგილი ქალთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში ევროპაში. 2012 წელს ევროპაში რეგისტრირებული იქნა ამ ლოკალიზაციის კიბოს 58,400 ახალი შემთხვევა, რამაც შეადგინა ქალთა ონკოლოგიური ავადობის 4%. წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით ევროპაში ამ ავადობის პიკი დაფიქსირდა რუმინეთში, ხოლო ყველაზე დაბალი დონე- შვეიცარიაში.

Frumovitz M. (2013) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარება შემთხვევათა 99,7%-ში დაკავშირებულია ადამიანის პაპილომის ვირუსთან (HPV). ამავე დროს, ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარების რისკი 15-ჯერ მაღალია ქალების HPV-ის 16 და 18 გენოტიპებით ინფიცირების შემთხვევაში, რომელთა ექსპოზიციასთან არის დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს ყველა შემთხვევის დაახლოებით 70%-ის განვითარება.

WHO/ICO (2010) მონაცემებით დიდ ბრიტანეთში HPV ინფექციის პრევალენტობა შეადგენს 8,9%-ს, მათ შორის HPV-ს 16 და/ან 18 გენოტიპების პრევალენტობა- 2,4%.

დიდი ბრიტანეთის ნაციონალური ჯანრთელობის სერვისის (NHS, 2008) მონაცემებით, 2008 წლიდან ინგლისში დაწყებული იქნა 12-13 წლის გოგონების ვაქცინაცია HPV-ს 16 და 18 გენოტიპებზე.

Kohli M. et al. (2007) მონაცემებით 12 წლის ასაკის გოგონების ვაქცინაცია HPV-ს 16 და 18 გენოტიპებზე 76%-ით ამცირებს მათ რისკს ცხოვრების განმავლობაში დაავადდნენ საშვილოსნოს ყელის კიბოთი.

Cox J.T. (2006), რომლის მონაცემებით HPV-ით ინფიცირების სიხშირე იზრდება სექსუალური პარტნიორების რაოდენობის ზრდის პარალელურად.

Winer R.L. et al. (2006) მოსაზრებით, ვინაიდან HPV ძირითადად გადადის სექსუალური კონტაქტით, სექსუალური აქტივობისაგან თავშეკავება ან მონოგამია ამცირებს ამ ვირუსისაგან ინფიცირების რისკს. პრეზერვატივების რეგულარულად გამოყენების შემთხვევაში 70%-ით მცირდება HPV-ით ინფიცირების საშიშროება.

ამერიკის კიბოს საზოგადოების (ACS, 2013) მონაცემებით, იმ ქალებში, რომელთა დედა ან და დაავადებული იყო საშვილოსნოს ყელის კიბოთი, 2-3-ჯერ მაღალია ამ დაავადების განვითარების რისკი, იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც არ ჰქონიათ ანალოგიური ოჯახური ისტორია.

Frumovitz M. (2013) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის ფაქტორებს აგრეთვე წარმოადგენენ სექსუალური აქტიურობის ადრეულ ასაკში დაწყება, სექსუალური პარტნიორების დიდი რაოდენობა და მათი ხშირი ცვლა, მაღალი რისკის მქონე სექსუალური პარტნიორებთან კავშირი და დაუცველი სექსუალური კავშირი. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის (NCI, 2013) მონაცემებიც.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC, 2013) მონაცემებით ბოლო 40 წლის განმავლობაში აშშ-ში აღინიშნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების კლების სტატისტიკურად სარწმუნო ტენდენცია, რაც დაკავშირებულია Pap-ტესტით სკრინინგული გამოკვლევებით აშშ-ში ქალთა პოპულაციის დიდი კონტიგენტის მოცვასთან.

საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირის კლების ტენდენციას და მის კავშირს Pap ტესტის საშუალებით ქალთა მოსახლეობის სკრინინგთან ადასტურებს ამერიკის კიბოს საზოგადოებაც (ACS, 2013).

Willoughby B.J. et al. (2006) მონაცემებით განვითარებულ ქვეყნებში განხორციელებული სკრინინგის შედეგად ბოლო 50 წლის განმავლობაში 75%-ით შემცირდა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობისა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა.

Lofters A.K. et al. (2011) მონაცემებით, ონტარიოში ცერვიკალური სკრინინგით ქალთა მოსახლეობის მოცვის ოდენობა შეესაბამება 20-69 წლის ასაკის მიხნობრივ ჯგუფის 85%-ს.

ონტარიოს კიბოს რეგისტრის (OCR, 2012) მონაცემებით, 1981 წლიდან 2009 წლამდე დროის პერიოდში, სკრინინგის შედეგად ონტარიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე შემცირდა 38%-ით, ხოლო ამ მიზეზით გარდაცვალების სიხშირე- 59%-ით.

Rositch A.F. (2014) გაანალიზა რა SEER-ის 2000-2009 წლების მონაცემები მივიდა დასკვნამდე, რომ ქალებში 65 წლის ასაკის შემდეგ, ე.ი. იმ ასაკობრივ პერიოდში, როდესაც გაიდლაინის მიხედვით აღარ ტარდება ცერვიკალური სკრინინგი, მაღალია

საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე იზიარებენ Rositch A.F. et al. (20014).

Herdman C. et al. (2000) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას მრავალი წლის განმავლობაში წინუსწრებენ კიბოსწინა და ფონური დაავადებები, რომელთა მკურნალობით შესაძლებელია კიბოს თავიდან აცილება. აქედან გამომდინარე, საშვილოსნოს ყელის კიბო პოტენციურად მიეკუთვნება კიბოს პრევენტაბელურ ფორმას, რომლით ავადობისა და გარდაცვალების სიხშირის შემცირება შესაძლებელია სკრინინგის საშუალებით.

Gold M.A. (2006) მიხედვით, ცერვიკალური Pap ტესტირება, რომელიც სკრინინგის დროს ტარდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნან პაციენტები ცერვიკალური კიბოსწინა დაავადებებით, ჩაუტარდეთ მკურნალობა და აწარმოონ მათზე follow-up დაკვირვება. განვითარებულ ქვეყნებში Pap ტესტით სკრინინგით მიღწეულია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის 70-80%-ით შემცირება.

Nanda K. et al. (2000) მონაცემებით, საშვილოსნოს ყელის CIN 2/3-ს დროს Pap ტესტის მგრძობელობა მერყეობს 47%-დან 62%-მდე, ხოლო სპეციფიკურობა - 60%-დან 85%-მდე.

ფინეთის კიბოს რეგისტრის (2014) მონაცემებით, ფინეთში ცერვიკალური სკრინინგის პროგრამის ეფექტიანად მოქმედების შედეგად საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა და ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების სიხშირემ დაიკლო 80%-ით.

Dickinson J.A. et al. (2012) გამოაქვეყნეს კანადის კიბოს რეგისტრის მონაცემები, რომელთა მიხედვით 1952 წლიდან 2006 წლისათვის საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე ყოველ 100,000 ქალზე შემცირდა 13,5-დან 2,2-მდე. სკრინინგის დახმარებით კანადაში 1972 წლიდან 2006 წლამდე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე შემცირდა 58%-ით, ხოლო ამ მიზეზით გარდაცვალების - 71%-ით.

Andrae B. et al. (2012) მონაცემების მიხედვით ქალები, რომელიც რეგულარულად მონაწილეობენ ცერვიკალურ სკრინინგში, გააჩნიათ ამ დაავადებით გარდაცვალების უფრო დაბალი რისკი, ვინაიდან მათ შემთხვევებში ეს დაავადება ვლინდება უფრო ადრეულ სტადიაში.

ნორვეგიის ცერვიკალური კიბოს სკრინინგის პროგრამის (NCCSP, 2014) მიხედვით, სკრინინგის დახმარებით ნორვეგიაში შესაძლებელი გახდა

საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის 25%-ით, და ამ მიზეზით გარდაცვალების- 50%-ით შემცირება.

საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის შემცირებისა და პრევენციის მიზნით აშშ-ს კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი (NCI, 2011) რეკომენდაციას აძლევს FDA-ს მიერ მოწონებული ორი ვაქცინის, Gardasil და Cervarix, გამოყენებას. Gardasil გამიზნულია HPV-ს 6, 11, 16 და 18 გენოტიპების, ხოლო Cervarix - 16 და 18 გენოტიპების საწინააღმდეგოდ (HPV-ს 16 და 18 გენოტიპებთან არის დაკავშირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების 70%). Gardasil-ს გამოყენება FDA-ს მიერ მოწონებულია 9-დან 26-მდე წლის ასაკის გოგონებისა და ბიჭების ვაქცინაციის დროს, ხოლო Cervarix - 9-დან 25-მდე წლის ასაკის გოგონების ვაქცინაციის დროს.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC, 2012) რეკომენდაციის მიხედვით ვაქცინაცია უნდა ჩატარდეს სექსუალური აქტივობის დაწყებამდე, ანუ სანამ ადგილი ექნება HPV ინფექციის ექსპოზიციას. ამასთან ერთად, თუ პერსონა ინფიცირებულია HPV-ს რომელიმე გენოტიპით, ვაქცინაციას შეუძლია მისი დაცვა HPV-ს სხვა გენოტიპებით ინფიცირებისაგან.

Cuzick J. et al. (2010) მოსაზრებით HPV ვაქცინაციის ეფექტიანობის კვლევის საუკეთესო მაგალითია დიდ ბრიტანეთში მიმდინარე იმუნიზაციის პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2008 წლიდან. 2010 წლისათვის ვაქცინაცია ჩატარდა 12-13 წლის 1,4 მილიონ გოგონას. 2009 წლიდან ვაქცინაციას დაექვემდებარენ 18 და მეტი წლის ასაკის გოგონები. მათ 6 თვიანი პერიოდულობით უტარდებათ 3-ჯერადი ინექცია. 12-13 წლის გოგონების 80%-იანი მოცვის პირობებში, ამ პროექტით მოსალოდნელია ინვაზიური კიბოს 63%-ით, CIN3-ის- 51%-ით და 30 წლამდე ციტოლოგიურად ცერვიკალური ატიპიური ცვლილებების 27%-ით შემცირება.

ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა ქ.თბილისში 1998-2010 წლებში რეგისტრირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს 3773 შემთხვევა და 2003-2007 წლებში ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობაში კიბოს მიზეზით გარდაცვალების 5440 შემთხვევა.

ეპიდემიოლოგიური კვლევით გამოანგარიშებული იქნა შემდეგი დესკრიპტული ინდიკატორები: ავადობისა და გარდაცვალების უხეში მაჩვენებელი (Crude Rate), ასაკისათვის სპეციფიკური მაჩვენებელი (Age-Specific Rate), წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებელი (Age-Standardized Rate - ASR), წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI ASR),

შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებელი (Truncated Age-Standardized Rate- TASR), შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI TASR), წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებელი (Age-Adjusted Rate- AAR), სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდება (Standardized Rate Ratio- SRR), სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI SRR), სტანდარტიზებული ინციდენტობის შეფარდების მაჩვენებელი (Standardized Incidence Ratio - SIR), სტანდარტიზებული ინციდენტობის შეფარდების მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI SIR), კუმულაციური რისკის მაჩვენებელი (Cumulative Risk-CR₀₋₇₄), კუმულაციური რისკის მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI CR₀₋₇₄), შეფარდებითი სიხშირის (Relative Frequency) მაჩვენებელი, პროპორციული სიხშირის (Ratio Frequency) მაჩვენებელი.

უხეში მაჩვენებლების მიხედვით ქ.თბილისში შესწავლილი პერიოდის განმავლობაში (1998-2010) ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 48,9 ქალი. ამასთან ერთად, უხეში მაჩვენებლების მიხედვით დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2003-2007 და 2008-2010 წლებში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 39,7%000-დან, შესაბამისად, 50,8%000-მდე და 61,1%000-მდე.

აღსანიშნავია, რომ სხვა პერიოდებისაგან განსხვავებით 2008-2010 წლებში აღინიშნა ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის მკვეთრი მატება ასაკობრივ ჯგუფში 40-44 წელი, რომელშიც რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის პიკური დონე- 255.8%000.

წლოვანებით სტანდარტიზებული (მსოფლიო) მაჩვენებლების (ASR) მიხედვით ქ.თბილისში 13 წლის განმავლობაში (1998-2010) ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 37,0 ქალი (95% CI ASR, 35,8-38,2).

ამასთან ერთად, წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (ASR) მიხედვით დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2003-2007 და 2008-2010 წლებში, აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 29,9%000-დან (95% CI ASR, 28,2-31,6), შესაბამისად, 38,8%000-მდე (95% CI ASR, 36,8-40,8) და 45,7%000-მდე (95% CI ASR, 43,0-48,5).

1988-1992 წლების შემდეგ 10-10 წლიანი ინტერვალებით შედარებისას აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მკვეთრი მატება (1988-1992: ASR=29,9; 95% CI=28,2-31,6; 1998-2002: ASR=38,8; 95% CI=36,8-40,8). 1998-2002 წლებიდან უმნიშვნელოდ

იკლო ამ ლოკალიზაციის მატების ტემპმა და 2008-2010 წლებამდე კვლავ გაგრძელდა ამ დაავადების გავრცელების სიხშირის მატების ტენდენცია (2008-2010: ASR=45,7; 95% CI=43,0-48,5).

წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით (თბილისის სტანდარტი, 2002) ქ.თბილისში 13 წლის განმავლობაში (1998-2010) ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად საშუალოდ ავადდებოდა 46,5 ქალი. ამასთან ერთად, წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2003-2007 და 2008-2010 წლებში, აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 37,6%000-დან 48,2%000—მდე და 58,4%000—მდე.

თბილისში მცხოვრებ ქალთა მოსახლეობის საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კუმულაციური რისკის მაჩვენებელმა (CR₀₋₇₄) 13 წლის განმავლობაში (1998-2010) შეადგინა 3,9% (95% CI CR₀₋₇₄=3,8-4,0). ამასთან ერთად დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით (3,2%-დან), აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების კუმულაციური რისკის მაჩვენებლის (CR₀₋₇₄) მატება 2003-2007 წლებში 4,2%- მდე (95% CI CR₀₋₇₄=4,1-4,4), ხოლო 2008-2010 წლებში- 4,6%-მდე (95% CI CR₀₋₇₄=4,5-4,9).

თბილისში მცხოვრებ ქალთა მოსახლეობის საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კუმულაციური რისკის მაჩვენებელმა (CR₀₋₆₄) 13 წლის განმავლობაში (1998-2010) შეადგინა 3,0% (95% CI CR₀₋₇₄=3,0-3,1). ამასთან ერთად დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით (2,4%-დან), აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების კუმულაციური რისკის მაჩვენებლის (CR₀₋₆₄) მატება 2003-2007 წლებში 3,2%- მდე (95% CI CR₀₋₇₄=3,1-3,4), ხოლო 2008-2010 წლებში- 3,8%-მდე (95% CI CR₀₋₇₄=3,7-4,0).

SRR-ს მიხედვით, 1998-2002 წლებში 1988-1992 წლებთან შედარებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა გაიზარდა 3-ჯერ (SRR=3,1; 95% CI SRR =2,8-3,5), ხოლო 2008-2010 წლებში 1988-1992 წლებთან შედარებით - 4,8-ჯერ (SRR=4,8; 95% CI SRR=4,1-5,6). აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა 2008-2010 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით, თუმცა შემცირდა ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის ტენდენცია (SRR=1,5; 95% CI SRR=1,4-1,6).

SRR-ს მიხედვით, 1998-2002 წლებთან შედარებით საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა 2003-2007 წლებში გაიზარდა 1,3-ჯერ (SRR=1,3; 95% CI SRR =1,3-1,3), ხოლო 2008-2010 წლებში - 1,5-ჯერ (SRR=1,5; 95% CI SRR=1,4-1,6).

SIR-ს მიხედვით, 2003-2007 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა გაიზარდა 27,9%-ით (SIR =127,9; 95% CI SIR=121,5-134,4), ხოლო 2008-2010 წლებში 2003-2007 წლებთან შედარებით - 20,3%-ით (SIR =120,3; 95% CI SIR=113,2-127,7). სულ 13 წლიან პერიოდში (2008-2010 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით) ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობამ მოიმატა 53,9%-ით (SIR =153,9; 95% CI SIR=144,8-163,1).

შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR₂₅₋₆₄) მიხედვით ქ.თბილისში 13 წლის განმავლობაში (1998-2010) 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 69,0 ქალი (95% CI TASR₂₅₋₆₄=68,0-70,1).

ამასთან ერთად, შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR₂₅₋₆₄) მიხედვით დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2008-2010 წლებში, 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 55,4‰-დან (95% CI TASR₂₅₋₆₄=53,7-57,0) 72,8‰-მდე (95% CI TASR₂₅₋₆₄ =70,5-74,1) და 89,0‰-მდე (95% CI TASR₂₅₋₆₄ =86,5-91,5).

შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) მიხედვით 1998-2010 წლებში ქ.თბილისში ყველა შესწავლილ ასაკობრივ პერიოდში (25-59, 25-64, 30-64, 30-69) აღინიშნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის მატების დინამიკა. ამავე დროს, 1998-დან 2010 წლამდე დროის ყველა პერიოდში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის იდენტური დონეები 25-59 და 25-64, ასევე- 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში. ამასთან ერთად საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე 25-59 და 25-64 წლებთან შედარებით მატულობს ასაკობრივ პერიოდებში 30-64 და 30-69 წლები.

შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით, როგორც ბოლო 3 წლის (2008-2010), ისე მთელი შესწავლილი 13 წლიანი პერიოდის (1998-2010) მანძილზე, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,2-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში, მაშინ როდესაც 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში რეგისტრირდება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის იდენტური სიხშირეები.

პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე დანარჩენ ასაკობრივ

ჯგუფებთან შედარებით ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი იყო 2,4-ჯერ მაღალი, მაშინ როდესაც ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი წელი- 3,9-ჯერ მაღალი.

შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევების 71,0% დიაგნოსტირებული იქნა ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი, ხოლო 79,8%- ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი. ანუ, სხვა სიტყვებით, 25-59 წელის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შეფარდებითი სიხშირე.

2003-2007 წლებში ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობაში კიბოს მიზეზით გარდაცვალების 5440 შემთხვევის ანალიზის შედეგად ვერიფიცირებული იქნა კიბოს 10 ძირითადი ლოკალიზაცია.

წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) მიხედვით დადგენილი იქნა 2003-2007 წლებში თბილისში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურა, განისაზღვრა 10 ძირითადი ლოკალიზაცია, მათი სიხშირეები 100,000 ქალზე (%000) და სარანგო ადგილები: I- ძუძუ (ASR=22,7%000), II- კუჭი (ASR=7,4%000), III- ფილტვი (ASR=6,7%000), IV- საშვილოსნოს ტანი (ASR=6,0%000), V- სწორი ნაწლავი (ASR=3,8%000), VI- საშვილოსნოს ყელი (ASR=3,6%000), VII- საკვერცხე (ASR=3,5%000), VIII- ლეიკემია (ASR=3,4%000), IX- ღვიძლი (ASR=3,4%000), X- პანკრეასი (ASR=2,7%000).

თბილისში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში სიკვდილის შემთხვევების თითქმის 1/3 (29%) მოდის რეპროდუქციული სისტემის ორგანოებზე, მათ შორის: ძუძუზე- 18,4%, საშვილოსნოს ტანზე- 4,9%, საშვილოსნოს ყელზე- 2,9%, საკვერცხეზე- 2,8%.

წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით 2003-2007 წლებში თბილისში 100,000 ქალზე 29,9 გარდაიცვალა ძუძუს, 4,7- საშვილოსნოს ყელის, 8,0- საშვილოსნოს ტანის და 4,6- საკვერცხეების კიბოს მიზეზით .

2003-2007 წლებში ქ.თბილისში ქალთა მოსახლეობის 75 წლის ასაკამდე ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციური რისკი (CR_{0-74}) შეადგინა 2,6% (95% CI $CR_{0-74}=2,5-2,7$), საშვილოსნოს ყელის- 0,4% (95% CI $CR_{0-74}=2,5-2,7$), საშვილოსნოს ტანის- 0,7% (95% CI $CR_{0-74}=0,7-0,8$), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 0,4% (95% CI $CR_{0-74}=0,4-0,4$).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 25-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₂₅₋₅₉) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 28,2 ქალი (95% CI TASR₂₅₋₅₉=27,0-29,3), საშვილოსნოს ყელის- 5,3 (95% CI TASR₂₅₋₅₉=4,8-5,8), საშვილოსნოს ტანის- 6,7 (95% CI TASR₂₅₋₅₉=6,1-7,2), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 4,5 (95% CI TASR₂₅₋₅₉=4,0-5,0).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₂₅₋₆₄) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 31,6 ქალი (95% CI TASR₂₅₋₆₄=30,4-32,8), საშვილოსნოს ყელის- 5,7 (95% CI TASR₂₅₋₆₄=5,1-6,2), საშვილოსნოს ტანის- 7,7 (95% CI TASR₂₅₋₆₄=7,1-8,3), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 5,1 (95% CI TASR₂₅₋₆₄=4,6-5,6).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₃₀₋₆₄) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 37,9 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₄=36,7-39,2), საშვილოსნოს ყელის- 6,8 (95% CI TASR₃₀₋₆₄=6,3-7,3), საშვილოსნოს ტანის- 9,3 (95% CI TASR₃₀₋₆₄=8,7-9,9), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 6,2 (95% CI TASR₃₀₋₆₄=5,7-6,7).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 30-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₃₀₋₆₉) ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 44,6 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₉=43,3-46,0), საშვილოსნოს ყელის- 7,3 (95% CI TASR₃₀₋₆₉=6,8-7,8), საშვილოსნოს ტანის- 11,4 (95% CI TASR₃₀₋₆₉=10,7-12,1), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 6,7 (95% CI TASR₃₀₋₆₉=6,2-7,3).

შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით აღინიშნება შემდეგი ტენდენცია: 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,3-ჯერ და 1,4-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, შესაბამისად, 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში.

ამდენად, 2003-2007 წლებში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სულ 150 შემთხვევა, ანუ დედაქალაქის ყოველ 100,000 ქალ მოსახლეზე უხეში მაჩვენებლის მიხედვით ამ მიზეზით ყოველწლიურად გარდაიცვლება 5,1, წლოვანების მიხედვით სტანდარტიზებული მაჩვენებლის (ASR) მიხედვით- 3,6 (95% CI ASR=3,0-4,2), ხოლო წლოვანებით კორექტირებული (თბილისის სტანდარტი) გარდაცვალების მაჩვენებლის (AAR) მიხედვით- 4,7. კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ეკავა რანგით VI ადგილი და მისი ხვედრითი წონა შეადგენდა 2,9%-ს. თბილისელ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით

გარდაცვალების კუმულაციურმა რისკმა დაბადებიდან 65 წლის ასაკამდე შეადგინა 0,3% (95% CI CR₀₋₆₄=0,3-0,3), ხოლო 75 წლის ასაკამდე - 0,4% (95% CI CR₀₋₇₄=0,4-0,5). შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით 25-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 5,3 ქალი (95% CI TASR₂₅₋₅₉=4,8-5,8), 25-64 წლის - 5,7 ქალი (95% CI TASR₂₅₋₆₄=5,1-6,2), 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 6,8 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₄=6,3-7,3), ხოლო 30-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 7,3 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₉=6,8-7,8). შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (TSRR) მიხედვით აღინიშნება შემდეგი ტენდენცია: 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,3-ჯერ და 1,4-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, შესაბამისად, 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში.

2008 წლიდან ქ.თბილისში ამოქმედდა ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში გამოკვლევა ჩატარდა სულ 81,973 ქალს. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-დიაგნოსტიკური გაიდლაინი მოიცავდა შემდეგ გამოკვლევებს: გინეკოლოგიური გასინჯვას (PV et PR), Pap ტესტს, საჭიროების შემთხვევაში კოლპოსკოპიას, ბიოფსიასა და ჰისტოლოგიურ კვლევას.

სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში ქ.თბილისში კოლპოსკოპიით სულ გამოკვლეული იქნა 14,015 ქალი.

2013 წელს ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი სულ ჩატარდა 13,584 ქალს, მათ შორის 7,416 (54,6%) ქალს - სკრინინგის ეროვნული ცენტრის მიერ. ამდენად სავსებით ვალიდურად ჩაითვალა ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის შეფასება სკრინინგის ეროვნული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული 7,416 ქალიდან 45 შემთხვევაში გამოვლენილი იქნა საშვილოსნოს ყელის კიბო, ხოლო 73 შემთხვევაში - საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზია (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომა (CIS).

საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობამ სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე 2013 წელს შეადინა 9,8%0. საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა

(CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობის მაღალი დონეები აღინიშნა 35-49 წლის ასაკის ქალებში.

საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობამ სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე 2013 წელს შეადინა 6,1%. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობის პიკური დონე (10,5%) აღინიშნა 60-64 წლის ასაკის ქალებში.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს 45 შემთხვევის უდიდეს უმრავლესობაში (82%) დაავადება დიაგნოსტირებული იქნა I კლინიკურ სტადიაში.

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის დიაგნოსტიკური ღირებულების შეფასების მიზნით სკრინინგის ეროვნული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილი იქნა გინეკოლოგიური გასინჯვის, Pap ტესტის, კოლპოსკოპიისა და Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის შემდეგი მაჩვენებლები: ტესტის მგრძობელობის კოეფიციენტი, ტესტის სპეციფიურობის კოეფიციენტი, ტესტის პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტი, ტესტის ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტი, ტესტის ფასეულობის კოეფიციენტი.

ტესტის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის შეფასების დროს თითოეული გამოკვლევის შედეგი შედარებული იქნა საბოლოო კლინიკურ დიაგნოზთან, რომელიც ყოველი კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში დასმული იქნა კომპლექსური გამოკვლევის საფუძველზე. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ-დიაგნოსტიკური გაიდლაინი მოიცავდა შემდეგ გამოკვლევებს: გინეკოლოგიური გასინჯვას (გასინჯვას სარკეებით და PV et PR), Pap ტესტს, საჭიროების შემთხვევაში კოლპოსკოპიას, ბიოფსიასა და ჰისტოლოგიურ კვლევას.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული 7,416 ქალიდან 118 პაციენტს დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ს დიაგნოზი, მათ შორის 53 შემთხვევაში დადასტურდა გინეკოლოგიური გასინჯვითაც. 7,362 ქალის გინეკოლოგიური გასინჯვის საფუძველზე საშვილოსნოს ყელის პათოლოგია არ ყოფილა დადგენილი, მათ შორის საშვილოსნოს ყელის CIS-ს 65 შემთხვევაში. ანუ, სხვა სიტყვებით, გინეკოლოგიური გასინჯვის დროს შემთხვევათა 0,9%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 54-დან 1 შემთხვევაში (1,9%) - ჰიპერდიაგნოსტიკას.

გინეკოლოგიური გასინჯვის მგრძობელობამ შეადგინა 44.9%, სპეციფიურობამ - 99.99%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა - 98.1%, ნეგატიური

შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -99.1%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა- 99.1%.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოკვლეული 7,416 ქალიდან 118 პაციენტს დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის კიბოსა და CIS-ს დიაგნოზი, მათ შორის 101 შემთხვევაში დადასტურდა Pap ტესტით. 7,310 ქალის Pap ტესტის საფუძველზე საშვილოსნოს ყელის პათოლოგია არ ყოფილა დადგენილი, მათ შორის საშვილოსნოს ყელის CIS-ს 17 შემთხვევაში. ანუ, სხვა სიტყვებით, Pap ტესტით შემთხვევათა 0,2%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 106-დან 5 შემთხვევაში (4,7%)- ჰიპერდიაგნოსტიკას.

Pap ტესტის მგრძობელობამ შეადგინა 85.6%, სპეციფიურობამ - 99.9%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -95.3%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -99.8%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა- 99.7%.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს კოლპოსკოპიური გამოკვლევა ჩატარდა 1,375 ქალს. საშვილოსნოს ყელის კიბოსა და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) 118 შემთხვევიდან დიაგნოზი კოლპოსკოპიით დაუდასტურდა 108 პაციენტს. 1,264 ქალიდან კოლპოსკოპიის საფუძველზე საშვილოსნოს ყელის პათოლოგია არ ყოფილა დადგენილი 10 შემთხვევაში. ანუ, სხვა სიტყვებით, კოლპოსკოპიით შემთხვევათა 0,8%-ში ადგილი ჰქონდა ჰიპოდიაგნოსტიკას, ხოლო 111-დან 3 შემთხვევაში (2,7%)- ჰიპერდიაგნოსტიკას.

კოლპოსკოპიის მგრძობელობამ შეადგინა 91.5%, სპეციფიურობამ - 99.8%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -97.3%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა -99.2%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა- 99.1%.

გინეკოლოგიური გასინჯვის, Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის დიაგნოსტიკური ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოსა და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) დიაგნოსტიკისას ეს გამოკვლევები ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავება მგრძობელობის კოეფიციენტების მიხედვით.

ცნობილია, რომ ტესტის მგრძობელობა ასახავს იმ ალბათობას, რომლის დროსაც დაავადებული პირები გამოკვლევის საფუძველზე კლასიფიცირებული იქნებიან როგორც ავადმყოფები. გინეკოლოგის გასინჯვასთან შედარებით (44.9%) მგრძობელობის მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა Pap ტესტირებისა (85,6%) და კოლპოსკოპიური გამოკვლევის (92,3%) შემთხვევებში. დამატებით, Pap ტესტის, როგორც სკრინინგის ძირითადი ტესტის განსაკუთრებული დადებითი მახასიათებელია ჰიპოდიაგნოსტიკის დაბალი მაჩვენებელი

(0.2%). Pap ტესტის ეფექტიანობა მკვეთრად იზრდება კოლპოსკოპიური გამოკვლევის შემდგომი, დაზიანებული უბნიდან დამიზნებულად აღებული ნაცხების, ციტოლოგიური კვლევით.

დამატებით, Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის შედეგები 162 შემთხვევაში შედარებული იქნა კლინიკურ დიაგნოზებთან და შესწავლილი იქნა აღნიშნული კომბინაციის დიაგნოსტიკური ეფექტიანობა.

Pap ტესტისა და კოლპოსკოპიის კომბინაციის მგრძობელობამ შეადგინა 96.3%, სპეციფიურობამ - 98.5%, პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა - 92.9%, ნეგატიური შედეგის წინასწარმეტყველების კოეფიციენტმა - 83.3%, ხოლო ფასეულობის კოეფიციენტმა - 98.1%.

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ეკონომიკური შეფასების მიზნით შესწავლილი იქნა სკრინინგის პროგრამის 5-წლიანი ციკლის დროს (2010-2014 წლებში) სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული გამოკვლევების აბსოლუტური რაოდენობები.

ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2010-2014 წლებში გინეკოლოგიური გასინჯვა და Pap ტესტი ჩაუტარდა 66,324 ქალს, ხოლო კოლპოსკოპია, ნიშნული ბიფსია და მორფოლოგიური კვლევა 12,147 ქალს, ანუ სკრინინგს დაქვემდებარებული ქალების 18%-ს.

2010-2014 წლებში ქ.თბილისში 66,324 ქალისათვის ჩატარებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულებამ სულ შეადგინა 2,000,981 ლარი.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის რაოდენობამ 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში შეადგინა 290,007, ხოლო 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში - 280,883 ქალი.

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის დღემდე მოქმედი გაიდლაინის მიხედვით სკრინინგი უტარდებათ ქალებს 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში. ანუ 2010-2014 წლებში განხორციელდა სკრინინგს დაქვემდებარებული მიზნობრივი კონტიგენტის მხოლოდ 23%-ის ტესტირება. ამავე დროს, სკრინინგის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მიზნობრივი ჯგუფის სულ ცოტა 50%-ით მოცვა, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში, როგორც ცნობელია, იწყება საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების შემცირება.

ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით გამომანგარიშებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ღირებულება 25-59

წლის და 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდებში მიზნობრივი ჯგუფების 50%-იანი და 70%-იანი მოცვის შემთხვევებში.

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელია სკრინინგს დაქვემდებარებული ქალების რაოდენობის ეტაპობრივად 2-3-ჯერ გაზრდა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ერთის მხრივ საჭიროა ქალთა მოსახლეობის განათლება და მათში პერიოდულად სკრინინგის გავლის ჩვევის გამომუშავება, მეორეს მხრივ კი - პროგრამის დაფინანსების გაზრდა. 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევებში სკრინინგ-პროგრამის ღირებულება შეადგენს 4,353,886 ლარს, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- 6,095,427 ლარს. 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევებში სკრინინგ-პროგრამის ღირებულება შეადგენს 4,216,908 ლარს, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- 5,903,652 ლარს.

როგორც ეს ჩვენს მიერ ჩატარებულმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანითა და 25-59 წლის ასაკობრივი პერიოდის ნაცვლად სკრინინგის 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება, ერთის მხრივ გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობას (30-64 ასაკობრივ პერიოდში, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით, 1,2-ჯერ და 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შეფარდებითი სიხშირე, ასევე -1,3-ჯერ და 10,6%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შეფარდებითი სიხშირე; სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობის პიკური დონე (10,5%) აღინიშნა 60-64 წლის ასაკის ქალებში), ხოლო მეორეს მხრივ- შეამცირებს გასაწევ ხარჯებს: მიზნობრივი ჯგუფის 50%-იანი მოცვის შემთხვევაში ~ 137,000 ლარით, ხოლო 70%-იანი მოცვის შემთხვევაში- ~ 192,000 ლარით. ანუ, სკრინინგის გაიდლაინში ცვლილების შეტანა და მისი 30-64 წლის ასაკობრივ პერიოდში ჩატარება მნიშვნელოვნად გაზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ხარჯთ-ეფექტიანობას.

კვლევით მიღებული ძირითადი შედეგები

ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა ქ.თბილისში 1998-2010 წლებში რეგისტრირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს 3773 შემთხვევა და 2003-2007 წლებში ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობაში კიბოს მიზეზით გარდაცვალების 5440 შემთხვევა.

უხეში მაჩვენებლების მიხედვით ქ.თბილისში შესწავლილი პერიოდის განმავლობაში (1998-2010) ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 48,9 ქალი.

2008-2010 წლებში აღინიშნა ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის მკვეთრი მატება ასაკობრივ ჯგუფში 40-44 წელი, რომელშიც რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის პიკური დონე- 255.8‰000.

წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (ASR) მიხედვით ქ.თბილისში 1998-2010 წლებში ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 37,0 ქალი. ამასთან ერთად დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2003-2007 და 2008-2010 წლებში, აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 29,9‰000-დან, შესაბამისად, 38,8‰000-მდე და 45,7‰000-მდე.

1988-1992 წლების შემდეგ 10-10 წლიანი ინტერვალებით შედარებისას აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მკვეთრი მატება (1988-1992: ASR=29,9); 1998-2002: ASR=38,8;. 1998-2002 წლებიდან უმნიშვნელოდ იკლო ამ ლოკალიზაციის მატების ტემპმა და 2008-2010 წლებამდე კვლავ გაგრძელდა ამ დაავადების გავრცელების სიხშირის მატების ტენდენცია (2008-2010: ASR=45,7).

წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით (თბილისის სტანდარტი, 2002) ქ.თბილისში 1998-2010 წლებში ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად საშუალოდ ავადდებოდა 46,5 ქალი. ამასთან ერთად, დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2003-2007 და 2008-2010 წლებში, აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 37,6‰000-დან 48,2‰000—მდე და 58,4‰000—მდე.

თბილისში მცხოვრებ ქალთა მოსახლეობის საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის კუმულაციური რისკის მაჩვენებელმა (CR₀₋₇₄) 1998-2010 წლებში შეადგინა 3,9%. ამასთან ერთად დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით (3,2%-დან), აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების კუმულაციური რისკის მაჩვენებლის (CR₀₋₇₄) მატება 2003-2007 წლებში 4,2%- მდე, ხოლო 2008-2010 წლებში- 4,6%-მდე.

SRR-ს მიხედვით, 1998-2002 წლებში 1988-1992 წლებთან შედარებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა გაიზარდა 3-ჯერ, ხოლო 2008-2010 წლებში 1988-1992 წლებთან შედარებით - 4,8-ჯერ. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა 2008-2010 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით, თუმცა შემცირდა ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობის ტენდენცია (SRR=1,5).

SIR-ს მიხედვით, 2003-2007 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა გაიზარდა 27,9%-ით, ხოლო 2008-2010 წლებში 2003-2007 წლებთან შედარებით - 20,3%-ით. სულ 13 წლიან პერიოდში (2008-2010 წლებში 1998-2002 წლებთან შედარებით) ამ ლოკალიზაციის კიბოთი ავადობამ მოიმატა 53,9%-ით.

შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR²⁵⁻⁶⁴) მიხედვით ქ.თბილისში 1998-2010 წლებში 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100,000 ქალზე საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად ავადდებოდა 69,0 ქალი. TASR²⁵⁻⁶⁴ მიხედვით დინამიკაში, 1998-2002 წლებთან შედარებით 2008-2010 წლებში, 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მატება: 55,4%000-დან 72,8 %000—მდე და 89,0%000—მდე.

შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) მიხედვით 1998-2010 წლებში ქ.თბილისში ყველა შესწავლილ ასაკობრივ პერიოდში (25-59, 25-64, 30-64, 30-69) აღინიშნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის მატების დინამიკა. ამავე დროს, 1998-დან 2010 წლამდე დროის ყველა პერიოდში აღინიშნა საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირის იდენტური დონეები 25-59 და 25-64, ასევე- 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში. ამასთან ერთად საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე 25-59 და 25-64 წლებთან შედარებით მატულობს ასაკობრივ პერიოდებში 30-64 და 30-69 წლები.

შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით, როგორც ბოლო 3 წლის (2008-2010), ისე მთელი შესასწავლი 13 წლიანი პერიოდის (1998-2010) მანძილზე, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,2-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში, მაშინ როდესაც 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში რეგისტრირდება საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის იდენტური სიხშირეები.

პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი იყო 2,4-ჯერ მაღალი, მაშინ

როდესაც ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი წელი- 3,9-ჯერ მაღალი. ანუ, სხვა სიტყვებით, 30-64 წლის ასაკობრივი პერიოდის ქალებში, 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით, პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1,6-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის სიხშირე.

შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 1998-2010 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შემთხვევების 71,0% დიაგნოსტირებული იქნა ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი, ხოლო 79,8%- ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი. ანუ, სხვა სიტყვებით, 25-59 წელიას ასაკობრივ პერიოდთან შედარებით, ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი 8,8%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის შეფარდებითი სიხშირე.

2003-2007 წლებში ქ.თბილისის ქალთა მოსახლეობაში კიბოს მიზეზით გარდაცვალების 5440 შემთხვევის ანალიზის შედეგად ვერიფიცირებული იქნა კიბოს 10 ძირითადი ლოკალიზაცია.

წლოვანებით სტანდარტიზებული სიხშირის მაჩვენებლების (ASR) მიხედვით დადგენილი იქნა 2003-2007 წლებში თბილისში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურა, განისაზღვრა 10 ძირითადი ლოკალიზაცია, მათი სიხშირეები 100,000 ქალზე (%000) და სარანგო ადგილები: I- ძუძუ (ASR=22,7%000), II- კუჭი (ASR=7,4%000), III- ფილტვი (ASR=6,7%000), IV- საშვილოსნოს ტანი (ASR=6,0%000), V- სწორი ნაწლავი (ASR=3,8%000), VI- საშვილოსნოს ყელი (ASR=3,6%000), VII- საკვერცხე (ASR=3,5%000), VIII- ლეიკემია (ASR=3,4%000), IX- ღვიძლი (ASR=3,4%000), X- პანკრეასი (ASR=2,7%000).

თბილისში ქალთა მოსახლეობის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში სიკვდილის შემთხვევების თითქმის 1/3 (29%) მოდის რეპროდუქციული სისტემის ორგანოებზე, მათ შორის: ძუძუზე- 18,4%, საშვილოსნოს ტანზე- 4,9%, საშვილოსნოს ყელზე- 2,9%, საკვერცხეზე- 2,8%.

წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებლების (AAR) მიხედვით 2003-2007 წლებში თბილისში 100,000 ქალზე 29,9 გარდაიცვალა ძუძუს, 4,7- საშვილოსნოს ყელის, 8,0- საშვილოსნოს ტანის და 4,6- საკვერცხეების კიბოს მიზეზით .

2003-2007 წლებში ქ.თბილისში ქალთა მოსახლეობის 75 წლის ასაკამდე ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციური რისკი (CR₀₋₇₄) შეადგინა 2,6% (95% CI CR₀₋₇₄=2,5-2,7), საშვილოსნოს ყელის- 0,4% (95% CI CR₀₋₇₄=2,5-2,7), საშვილოსნოს ტანის-

0,7% (95% CI CR₀₋₇₄=0,7-0,8), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 0,4% (95% CI CR₀₋₇₄=0,4-0,4).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 25-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₂₅₋₅₉) ტუბუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 28,2 ქალი (95% CI TASR₂₅₋₅₉=27,0-29,3), საშვილოსნოს ყელის- 5,3 (95% CI TASR₂₅₋₅₉=4,8-5,8), საშვილოსნოს ტანის- 6,7 (95% CI TASR₂₅₋₅₉=6,1-7,2), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 4,5 (95% CI TASR₂₅₋₅₉=4,0-5,0).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₂₅₋₆₄) ტუბუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 31,6 ქალი (95% CI TASR₂₅₋₆₄=30,4-32,8), საშვილოსნოს ყელის- 5,7 (95% CI TASR₂₅₋₆₄=5,1-6,2), საშვილოსნოს ტანის- 7,7 (95% CI TASR₂₅₋₆₄=7,1-8,3), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 5,1 (95% CI TASR₂₅₋₆₄=4,6-5,6).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₃₀₋₆₄) ტუბუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 37,9 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₄=36,7-39,2), საშვილოსნოს ყელის- 6,8 (95% CI TASR₃₀₋₆₄=6,3-7,3), საშვილოსნოს ტანის- 9,3 (95% CI TASR₃₀₋₆₄=8,7-9,9), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 6,2 (95% CI TASR₃₀₋₆₄=5,7-6,7).

ქ.თბილისში 2003-2007 წლებში 30-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში (TASR₃₀₋₆₉) ტუბუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 44,6 ქალი (95% CI TASR₃₀₋₆₉=43,3-46,0), საშვილოსნოს ყელის- 7,3 (95% CI TASR₃₀₋₆₉=6,8-7,8), საშვილოსნოს ტანის- 11,4 (95% CI TASR₃₀₋₆₉=10,7-12,1), ხოლო საკვერცხეების კიბოს მიზეზით- 6,7 (95% CI TASR₃₀₋₆₉=6,2-7,3).

შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მიხედვით აღინიშნება შემდეგი ტენდენცია: 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,3-ჯერ და 1,4-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, შესაბამისად, 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში.

ამდენად, 2003-2007 წლებში რეგისტრირებული იქნა საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სულ 150 შემთხვევა, ანუ დედაქალაქის ყოველ 100,000 ქალ მოსახლეზე უხეში მაჩვენებლის მიხედვით ამ მიზეზით ყოველწლიურად გარდაიცვლება 5,1, წლოვანების მიხედვით სტანდარტიზებული მაჩვენებლის (ASR) მიხედვით- 3,6, ხოლო წლოვანებით კორექტირებული გარდაცვალების მაჩვენებლის (AAR) მიხედვით- 4,7. კიბოს მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში საშვილოსნოს ყელის კიბოს ეკავა

რანგით VI ადგილი და მისი ხვედრითი წონა შეადგენდა 2,9%-ს. თბილისელ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციურმა რისკმა დაბადებიდან 75 წლის ასაკამდე- 0,4%. შეკვეცილი წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR) მიხედვით საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით 25-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100,000 ქალზე ყოველწლიურად გარდაიცვლებოდა 5,3 ქალი, 25-64 წლის - 5,7 ქალი, 30-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში -6,8 ქალი, ხოლო 30-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში- 7,3 ქალი. შეკვეცილი სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (TSRR) მიხედვით აღინიშნება შემდეგი ტენდენცია: 25-59 წლის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით 1,3-ჯერ და 1,4-ჯერ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, შესაბამისად, 30-64 და 30-69 ასაკობრივ პერიოდებში. პროპორციული სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი იყო 1,1-ჯერ მაღალი, მაშინ როდესაც ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი წელი- 1,7-ჯერ მაღალი. შეფარდებითი სიხშირის მაჩვენებლების მიხედვით 2003-2007 წლებში ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების 52,7% რეგისტრირებული იქნა ასაკობრივ პერიოდში 25-59 წელი, ხოლო 63,3%- ასაკობრივ პერიოდში 30-64 წელი. ანუ, სხვა სიტყვებით, 25-59 წელის ასაკობრივ პერიოდთან შედარებით აკობრივ პერიოდში 30-64 წელი 10,6%-ით მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს მიზეზით გარდაცვალების შეფარდებითი სიხშირე.

სკრინინგის ეროვნული ცენტრისა და სუბკონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში 2008-2014 წლებში Pap ტესტირება ჩაუტარდა სულ 81,973 ქალს, ხოლო კოლპოსკოპიური გამოკვლევა- 14,015 ქალს.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს Pap ტესტით გამოკვლეული 7,416 ქალიდან 45 შემთხვევაში გამოვლენილი იქნა საშვილოსნოს ყელის კიბო, ხოლო 73 შემთხვევაში- საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზია (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომა (CIS).

საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა (CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობამ სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე 2013 წელს შეადინა 9,8%0. საშვილოსნოს ყელის მძიმე დისპლაზიისა

(CIN3) და ინტრაეპითელიალური კარცინომის (CIS) პრევალენტობის მაღალი დონეები აღინიშნა 35-49 წლის ასაკის ქალებში.

საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობამ სკრინინგს დაქვემდებარებულ ქალთა კონტიგენტში ყოველ 1,000 ქალზე 2013 წელს შეადინა 6,1%0. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობის პიკური დონე (10,5%0) აღინიშნა 60-64 წლის ასაკის ქალებში.

სკრინინგის ეროვნული ცენტრში 2013 წელს გამოლენილი საშვილოსნოს ყელის კიბოს 45 შემთხვევის უდიდეს უმრავლესობაში (82%) დაავადება დიაგნოსტირებული იქნა I კლინიკურ სტადიაში.

